პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ.პ.(ბ) ც. კ-ის და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП(б) ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 235 (9395) | პარასკევი, 3 ოქტომბერი, 1952 წ. | ფასი 20 კაპ.

„ეს (მეხუთე) ხუთწლიანი გეგმა კვლავ ცხადყოფს მთელი მსოფლიოს წინაშე სოციალიზმის დიდ სასიცოცხლო ძალას, მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობებს კაპიტალისტური სისტემის წინაშე. ეს ხუთწლიანი გეგმა წარმოადგენს მშვიდობიანი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის გეგმას“.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროექტიდან „პარტიის XIX ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის განვითარების 1951—1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ“.

საყოველთაო-სახალხო შეჯიბრება პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავად

ახლოვდება კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის გახსნის დღე. საბჭოთა ხალხი ამ შესანიშნავ ისტორიულ ამბავს ხვდება პოლიტიკური და შრომითი აქტივობის უდიდესი აღმავლობით. ჩვენს ქვეყანაში ყველგან იზრდება და ფართოვდება, შესანიშნავ წარმატებებს იწვევს ლენინ-სტალინის პარტიის მომავალი ყრილობის აღსანიშნავი საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება.

ცნობამ პარტიის XIX ყრილობის მოწვევის შესახებ შემოქმედებითი ენერგიის უმაგალითო მოზღვავება გამოიწვია საბჭოთა კავშირის მუშებში, გლეხებში, ინტელიგენციაში. მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ პარტიის ყრილობის დირექტივების პროექტი საბჭოთა ადამიანებმა მიიღეს როგორც კომუნიზმის გზაზე შემდგომი წინსვლის საბრძოლო პროგრამა. მილიონობით მშრომელმა, საწარმოების, მშენებლობების, კოლმეურნეობების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებმა გადაწყვიტეს პარტიის ყრილობა აღნიშნონ ახალი შრომითი გმირობით და გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი იკისრეს. ეს ვალდებულებანი წარმატებით ხორციელდება.

ი. ბ. სტალინის სახელობის მოსკოვის საავტომობილო ქარხნის კოლექტივმა მოსკოვის მრეწველობის ყველა მუშაკს მიმართა მოწოდებით მოწყოთ სოციალისტური შეჯიბრება პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავად და პირობა დადო ცხრა თვის საწარმოო პროგრამა ვადაზე ხუთი დღით ადრე შეესრულებინათ. ავტომობილშენებლებმა შეასრულეს თავიანთი სიტყვა. ცხრა თვის გეგმა ქარხნის კოლექტივმა 25 სექტემბერს გაანადგა.

ლენინგრადის ს. მ. კიროვის სახელობის ქარხანა „ელექტროსილას“ მუშებმა, ინჟინერებმა, ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა ყრილობის აღსანიშნავ შეჯიბრებაში ჩაბმისას იკისრეს ვადაზე ათი დღით ადრე შეესრულებინათ ცხრა თვის პროგრამა, მოემზადებინათ წარმოება კომუნიზმის დიადი მშენებლობის — კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურისათვის გენერატორების ვადამდე გამოსაშვებად, ვადამდე გამოეშვათ პირველი ჰიდროგენერატორი გორკის ჰიდროელექტროსადგურისათვის. ცხრა თვის გეგმა ქარხანამ 20 სექტემბერს შეასრულა. წარმატებით ხორციელდება სხვა ვალდებულებებიც.

ცნობები პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავად შრომითი მიღწევების შესახებ ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხიდან მოდის. ახალი საწარმოო წარმატებანი მოიპოვეს მაგნიტოგორსკისა და სტალინსკის მეტალურგებმა, დონბასის, კუზბასისა და ყარაგანდის მეშახტეებმა, აზერბაიჯანისა და ვოლგისპირეთის ნავთობის მრეწველობის მუშაკებმა, ურალის, ბელორუსიისა და საქართველოს მანქანათმშენებლებმა, ივანოვოს, უზბეკეთისა და ბალტიისპირეთის ფეიქრებმა, კუიბიშევის, სტალინგრადისა და კახოკის ჰიდროელექტროსადგურების, თურქმენეთის მთავარი არხის, სამხრეთ უკრაინისა და ჩრდილოეთ ყირიმის არხების მშენებლებმა. სოფლის მეურნეობის მშრომელები პარტიის ყრილობის აღსანიშნავად ერთმანეთს ეჯიბრებიან, რათა რაც შეიძლება მალე დაამთავრონ მოსავლის აღება, სანიმუშოდ შეასრულონ სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარების გეგმები, წარმატებით დაამთავრონ სასოფლო-სამეურნეო წელი.

ქალაქსა და სოფელში, ყველა მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკაში მშრომელები ისწრაფვიან პარტიის XIX ყრილობა აღნიშნონ საწარმოო დავალებათა ვადამდე შესრულებით.

კომუნისტურმა პარტიამ საბჭოთა ხალხს გაუღვიძა დაუშრეტელი შემოქმედებითი ენერგია, უმაგალითო სიმაღლეზე აიყვანა მშრომელი ადამიანი, ყურადღებითა და მზრუნველობით შემოსა იგი. ამხანაგმა სტალინმა საბჭოთა ადამიანების შრომას უწოდა დიდი და შემოქმედებითი შრომა, რომელიც ისტორიის ბედს წყვეტს.

„მუშები და გლეხები, — აღნიშნავს ამხანაგი სტალინი, — რომელნიც უხმაუროდ და უაურბაუროდ აშენებენ ქარხნებსა და ფაბრიკებს, მაღაროებსა და რკინიგზებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, ქმნიან ცხოვრების ყველა სიკეთეს, აჭმევენ და აცმევენ მთელ მსოფლიოს,—აი ვინ არიან ახალი ცხოვრების ნამდვილი გმირები და ნამდვილი შემოქმედნი“.

ლენინურ-სტალინური იდეები თავისუფალი შემოქმედებითი შრომის, არა ექსპლოატატორებისათვის, არამედ თავისათვის, თავისი საზოგადოებისათვის შრომის დიდი მნიშვნელობის შესახებ, სოციალისტური შეჯიბრების, როგორც კომუნისტური მშენებლობის მეთოდის შესახებ, ღრმად ჩაინერგა ჩვენი ხალხის შეგნებაში და აღაფრთოვანებს მას სულ უფრო გრანდიოზული ამოცანების გადასაჭრელად. საბჭოთა ადამიანები კარგად იცნობენ მშვიდობიანი, შემოქმედებითი შრომის მძლავრ ძალას. სოციალიზმი და შრომა განუყოფელია ერთმანეთისაგან. ლენინ-სტალინის პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობის მეოხებით, თავდადებული შრომის მეოხებით საბჭოთა ხალხმა მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებანი მოიპოვა ახალი ცხოვრების მშენებლობაში, საყვარელი სამშობლოს — მთელ მსოფლიოში მშვიდობის ურყევი ბურჯის ძლიერების განმტკიცებაში.

დიდი ენერგია მხოლოდ დიდი მიზნისათვის იბადება. ლენინ-სტალინის პარტია აღაფრთოვანებს და რაზმავს ჩვენს ხალხს შრომითი გმირობისათვის, მის შემოქმედებითს ენერგიას წარმართავს ერთი მიზნისაკენ — კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.

„ამჟამად, — ნათქვამია პარტიის შეცვლილი წესდების პროექტში, — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მთავარი ამოცანები ის არის, რომ ააშენოს კომუნისტური საზოგადოება სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის გზით, განუწყვეტლივ ამაღლოს საზოგადოების მატერიალური და კულტურული დონე, ზარდოს საზოგადოების წევრები ინტერნაციონალიზმისა და ყველა ქვეყნის მშრომელებთან ძმური კავშირის დამყარების სულისკვეთებით, ყოველმხრივ განამტკიცოს საბჭოთა სამშობლოს აქტიური თავდაცვა მისი მტრების აგრესიული მოქმედებისაგან“.

მეხუთე ხუთწლიანი გეგმა განსაზღვრავს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ახალ მძლავრ აღმავლობას და უზრუნველყოფს ხალხის მატერიალური და კულტურული დონის შემდგომ მნიშვნელოვან ამაღლებას. მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესრულება დიდი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება სოციალიზმიდან კომუნიზმისაკენ განვითარების გზაზე.

გაჩაღა რა შეჯიბრება პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავად, ახორციელებს რა გადიდებულ სოციალისტურ ვალდებულებებს, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი ცხადყოფს თავის უსაზღვრო სიყვარულსა და ერთგულებას კომუნისტური პარტიისადმი, ამხანაგ სტალინისადმი. პარტიის ყრილობის აღსანიშნავი შეჯიბრება მკაფიოდ გამოხატავს საბჭოთა ადამიანების მტკიცე მისწრაფებასა და მზადყოფნას — მთელი ძალები, მთელი ენერგია მოახმარონ ახალი ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებისათვის, კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლას.

ყრილობის აღსანიშნავი შეჯიბრების მსვლელობაში მრავლდება წარმოების ნოვატორთა და მოწინავეთა რიგები, იმ ადამიანთა რიგები, რომლებიც ახალ გზებს კაფავენ შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და უმდიდრესი ტექნიკის უკეთ გამოყენების საქმეში.

პარტიულ კონფერენციებსა და მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ყრილობებზე აღნიშნავდნენ სერიოზულ ნაკლოვანებებს შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობაში. ბევრმა პარტიულმა კომიტეტმა ვერ მიაღწია იმას, რომ სწორად შეახამოს პოლიტიკური და სამეურნეო მუშაობა, ისინი ჯერ კიდევ ვერ სწვდებიან ღრმად მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოთა, კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების საქმიანობას, ჩამორჩენილი უბნები ვერ ამყავთ მოწინავეთა დონემდე, საკმაოდ ვერ უჭერენ მხარს წარმოების ნოვატორთა გამოცდილებას და ვერ უზრუნველყოფენ მის პროპაგანდას.

მასების შრომითი აქტივობის უდიდესი აღმავლობა პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს ავალებს გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა სოციალისტური შეჯიბრებისადმი, ყოველდღიურად იზრუნონ ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულების პირობების შექმნისათვის. საჭიროა ყოველი ღონისძიებით დავეხმაროთ მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტისა და სხვა დარგების ნოვატორებსა და მოწინავეებს მათს მისწრაფებაში გაადიდონ წარმოება, აამაღლონ შრომის ნაყოფიერება, შეამცირონ პროდუქციის თვითღირებულება და გააუმჯობესონ მუშაობის ყველა ხარისხობრივი მაჩვენებელი.

„სოციალისტური შეჯიბრების დიადი ძალა,— ნათქვამია პარტიის XIX ყრილობის დირექტივების პროექტში, — მუშების, კოლმეურნეებისა და ინტელიგენციის ერთსულოვანი მისწრაფება— დაიცვან მშვიდობის საქმე, მშრომელთა ურყევი გადაწყვეტილება — ააშენონ კომუნისტური საზოგადოება — წარმართულ უნდა იქნას ახალი ხუთწლედის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისაკენ“.

პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავად საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების ფართო გაჭანება ცხადყოფს, თუ რა აურაცხელი შესაძლებლობა მოგვეპოვება სახელმწიფო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, კომუნისტური მშენებლობის დიადი ამოცანების განხორციელებისათვის.

მასების მძლავრი აქტივობა და უშრეტი ინიციატივა კომუნიზმის უძლეველი ძალების უმნიშვნელოვანესი წყაროა.

„პრავდის“ 2/X მოწინავე.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ ᲞᲐᲞᲠᲘᲝᲤᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘᲗ ᲔᲒᲔᲑᲔᲑᲘᲐᲜ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XIX ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲡ

„სოციალისტური შეჯიბრების დიადი ძალა, მუშების, კოლმეურნეებისა და ინტელიგენციის ერთსულოვანი მისწრაფება— დაიცვან მშვიდობის საქმე, მშრომელთა ურყევი გადაწყვეტილება — ააშენონ კომუნისტური საზოგადოება — წარმართულ უნდა იქნას ახალი ხუთწლედის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისაკენ“.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროექტიდან „პარტიის XIX ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ“.

ᲐᲦᲘᲠᲔᲑᲔᲜ ᲥᲕᲐᲜᲐᲮᲨᲘᲠᲘᲡ ᲐᲛᲝᲦᲔᲑᲐᲡ

ტყიბული. (საკ. კორ.). ტყიბულელი მეშახტეები წარმატებით ანაღდებენ პარტიის XIX ყრილობისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს. სექტემბერში ყველა შახტს გაუსწრო მოლოტოვის სახელობის შახტის კოლექტივმა, რომელმაც საგრძნობი გადაჭარბებით შეასრულა ნაკისრი ვალდებულება.

დიდი შრომითი აღმავლობაა ლენინის სახელობის შახტის პირველ საექსპლოატაციო უბანში. შრომის მოწინავე მეთოდების გამოყენებით, ტექნიკურ-ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელებით და შინაგეზერვების გამოყენებით უბანმა სექტემბერში ქვანახშირის საშუალო საღღეღამისო ამოღება წინა თვესთან შედარებით 8,8 პროცენტით გაადიდა. უბნის მეშახტეები ყრილობისადმი მიძღვნილ სტახანოვურ ვახტზე დგანან და სარეკორდო მაჩვენებლებს აღწევენ. უბანმა ქვანახშირის ამოღების სადღეღამისო დავალებას 66,4 პროცენტით გადააჭარბა და შახტის უბნებს შორის დაწესებული გარდამავალი დროშა მოიპოვა.

სტალინის სახელობისა და გელათის შახტებში სექტემბრის დავალება წარმატებით შეასრულეს ნ. გვენეტაძის, ს. ბოცაძისა და ბ. ჯალაღანიას უბნებმა.

ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებებს წარმატებით ანაღდებენ სტახანოველი მეშახტეები ი. ორჯონიკიძე, დ. კუბლაშვილი, ს. ცნობილაძე, კ. ბაკურაძე, ე. კვატაშიძე და სხვები.

10 ᲗᲕᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ — 9 ᲗᲕᲔᲨᲘ

ცხაკაია. (საკ. კორ.). სამრეწველო კომბინატმა 20 სექტემბრისათვის 102 პროცენტით შეასრულა 9 თვის საწარმოო გეგმა. გამოშვებულია 4.394.000 მანეთის პროდუქცია ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4.296 ათასი მანეთისა. სექტემბრის გეგმა განაღდებულია ვადამდე.

კომბინატის კოლექტივი ამჟამად იმისათვის იბრძვის, რომ 5 ოქტომბრისათვის სახელმწიფოს მისცეს რამდენიმე ასეული ათასი მანეთის პროდუქცია გეგმის გადამეტებით. ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის საუკეთესოდ მუშაობენ პ. გეგენავა, მ. კულიკოვა, ჟ. პაჭკორია, ი. იურჩენკო, ს. ჩემია და სხვები.

პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავ ვახტზე დგანან მეხალიჩეები ვ. ოდიშარია, ძ. გვასალია, კ. კუზნეცოვა, ნ. ჯალაღონია და სხვები. ხალიჩის ფაბრიკის კოლექტივი იმისათვის იბრძვის რომ 9 თვეში შეასრულოს 10 თვის გეგმა, გეგმის გადამეტებით გამოუშვას კიდლის ხალიჩები და ფიანდაზები.

ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ

დუშეთის რაიონის კოლმეურნეობებმა საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის მოწვევის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულება სახელმწიფოსათვის გეგმის გადამეტებით 1.000 ცენტნერი მატყლის ჩაბარების შესახებ — 1 ოქტომბრისათვის გადაჭარბებით შეასრულეს და სახელმწიფოს წლიური გეგმის გადამეტებით 1.004 ცენტნერი მატყლი ჩააბარეს.

სახელმწიფოსათვის მატყლის ჩაბარება გრძელდება.

* * *

პარტიის ბოგდანოვკის რაიონული კომიტეტი და რაისაბჭოს აღმასკომი იტყობინებიან, რომ რაიონის კოლმეურნეობებმა 30 სექტემბრისათვის 101,5 პროცენტით შეასრულეს საშემოდგომო თესვის გეგმა.

თესვა გრძელდება.

ბოგდანოვკის რაიონმა შეასრულა ნაკისრი ვალდებულება სახელმწიფოსათვის გეგმის გადამეტებით მატყლის ჩაბარების შესახებ.

ვალდებულებით გათვალისწინებული 70 ცენტნერის ნაცვლად სახელმწიფოს ჩააბარა 75 ცენტნერი მატყლი.

სახელმწიფოსათვის მატყლის ჩაბარება გრძელდება.

* * *

წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობებმა 29 სექტემბრისათვის 100.5 პროცენტით შეასრულეს მზესუმზირის დამზადების გეგმა.

მზესუმზირის დამზადება გრძელდება.

* * *

ყვარლის რაიონის კოლმეურნეობებმა 20 სექტემბრისათვის 116,7 პროცენტით შეასრულეს მზესუმზირის დამზადების გეგმა.

მზესუმზირის დამზადება გრძელდება.

ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲛᲐ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲐ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა შესანიშნავი წარმატება მოიპოვა ბოლშევიკური პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში: ვადამდე შეასრულა სექტემბრის გეგმა, პირნათლად გაანაღდა ნაკისრი ვალდებულებანი, გეგმის გადამეტებით სამშობლოს მნიშვნელოვანი რაოდენობით მისცა ფოლადი, ნაგლინი, ელექტროენერგია, აითვისა ფოლადის მთლიანნაგლინი მილების წარმოება.

ფოლადის გამოშვების 9 თვის გეგმა ქარხანამ 27 სექტემბერს შეასრულა. გადაჭარბებით არის შესრულებული აგრეთვე საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა.

შეჯიბრების ავანგარდში დგანან ცნობილი სტახანოველი მეფოლადეები შალვა კუხალეიშვილი, გრიგოლ ბერეკაშვილი, ამირან ფანცულაია, მგლინავები ილია მეტრეველი, ევგენი ხარჩენკო, გიორგი იმნაძე, ვლადიმერ კირვალიძე, ამირან გაგნიძე, ტურბინის მემანქანე ივანე ქემაშვილი და სხვები.

დიდი შრომითი აღმავლობაა მილსაგლინავ საამქროში. მგლინავებმა სექტემბრის გეგმა 127 პროცენტით შეასრულეს. ნორმის გადამეტებით ათასობით ფოლადის მილი გამოუშვეს. საუკეთესო მაჩვენებლებს აღწევს ის ცვლა, რომელსაც ახალგაზრდა სპეციალისტი პავლე წერეთელი ხელმძღვანელობს. ცვლამ სექტემბრის დავალება 2 დღით ადრე გაანაღდა და ნორმის გადამეტებით 540 მილი გაგლინა.

— ავითვისოთ ყველა დაკვეთილი პროფილის ფოლადის მილების წარმოება, სასახელო მაჩვენებლებით შევხვდეთ ყრილობას! — ასეთი ლოზუნგით იბრძვიან მგლინავები.

ქართული ფოლადის მთლიანნაგლინი მილები უკვე გაეგზავნა ჩვენი სამშობლოს გულს — მოსკოვს, აგრეთვე მოძმე რესპუბლიკების დედაქალაქებს — ბაქოს, ერევანს და თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლებს.

რუსთავის მეტალურგები მიღწეულით არ კმაყოფილდებიან, ყრილობისწინა დღეებში აძლიერებენ მუშაობის ტემპს და ახალ საჩუქრებს ეზმზადებენ დედასამშობლოს. (საკ. კორ.).

ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲝᲠᲔᲑᲗᲐᲜ

საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის აღსანიშნავად თბილისის საწარმოებს შორის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების ინიციატორად ჩვენი რესპუბლიკის უძველესი საწარმოს — სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები გამოვიდნენ. მათი მოწოდების პასუხად ფართოდ გაჩაღდა საყოველთაო-სახალხო შეჯიბრება.

ძირითადი ვალდებულება, რომელიც ქარხნის კოლექტივმა აიღო, იყო—ვადამდე, 25 სექტემბრისათვის გაენაღდებინა საერთო პროდუქციის გამოშვების 9 თვის დავალება. ორთქლმავალვაგონშემკეთებლებმა ზუსტად, დანიშნულ ვადაზე გაანაღდეს პირობა. სექტემბრის ბოლო რიცხვებისათვის გეგმის შესრულების მაჩვენებელმა 102,4 პროცენტს მიაღწია.

სამგზავრო-სავაგონო საამქროს კოლექტივმა გეგმის გადამეტებით კაპიტალურად შეაკეთა და გამოუშვა ერთი ვაგონი.

ცხრა თვის დავალების გადამეტებით შვიდი ვაგონი შეაკეთეს და საექსპლოატაციოდ გადასცეს სატვირთო-სავაგონო საამქროს მუშებმა და მოსამსახურეებმა. აქ ძველი ნაწილების გამოყენების ხარჯზე ერთ თვეში 40.000 მანეთზე მეტი დაზოგეს.

ამწყობი საამქროს კოლექტივმა გასული თვის საწარმოო გეგმა 106 პროცენტით გაანაღდა. დიდი წარმატებით მუშაობდნენ ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის მექანიკურ საამქროშიც.

სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალი საწარმოო მაჩვენებლები მოიპოვეს ცალკეულმა ბრიგადებმა. სექტემბერში ორნახევარი ნორმა გამოიმუშავა საკულისე მექანიზმების დამამზადებელმა ბრიგადამ, რომელსაც შალვა კაპანაძე ხელმძღვანელობს. ცხრა თვეში ორი წლის დავალება შეასრულა მიქვაბეთა ლევან მარღიშვილის ბრიგადამ.

ღირსეული საწარმოო საჩუქრებით ეგებება პარტიის მორიგ ყრილობას სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივი.

ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲐᲜᲐᲦᲓᲔᲡ

ფოთი. (საკ. კორ.). პარტიის XIX ყრილობისათვის ნაკისრი ვალდებულებანი ქალაქის სამრეწველო საწარმოთა უმეტესობამ ვადამდე შეასრულა. საკონდიტრო ფაბრიკამ 20 დღით ადრე დაამზადა 9 თვეში გათვალისწინებული 112 ტონა ნამცხვარი, გააუმჯობესა პროდუქციის ხარისხი. ხორცკომბინატის კოლექტივი, რომელმაც 9 თვის გეგმა 175,5 პროცენტით შეასრულა, ამჟამად გეგმის გადამეტებით უშვებს პროდუქციას.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. სამთო მანქანათმშენებელი ქარხანა. სურათზე: სტახანოველი ხარატი ირაკლი სინაურიძე, რომელიც პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავ სტახანოვურ ვახტზე დგას და გამომუშავების ნორმას ორმაგად ასრულებს.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატი. სურათზე: ოსტატის თანაშემწე მ. ანანიაშვილი (მარჯვნივ) ამოწმებს სტახანოველი მეკოტონის ზ. მათიაშვილის ნამუშევრის ხარისხს. მათიაშვილი ყრილობის აღსანიშნავ ვახტზე დგას და გეგმას 125 პროცენტით ასრულებს.

ᲡᲢᲐᲮᲐᲜᲝᲕᲔᲚᲘ ᲜᲔᲛᲡᲐᲫᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ოთხიოდე წლის წინათ დაიწყო მუშაობა თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში მერი ნემსაძემ. მუშაობის დაწყებისთანავე კომკავშირელმა გოგონამ ძტკიცედ გადაწყვიტა ფაბრიკის მოწინავე ფეიქართა რიგებში ჩამდგარიყო. მან ეს გადაწყვეტილება საქმედ აქცია. ბეჯითი შრომით ყოველდღიურად აუმჯობესებდა მუშაობას, ეუფლებოდა ფეიქრის პროფესიას. მალე მერი ნემსაძემ სახელი გაითქვა ახალგაზრდებს შორის. დაეუფლა ოთხ დაზგაზე მუშაობას და დაიწყო გამომუშავების ნორმების დიდი გადაჭარბებით შესრულება.

წარჩინებული სტახანოველი მ. ნემსაძე გულდასმით გაეცნო მეხუთე ხუთწლიანი გეგმის დირექტივების პროექტს, პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავ სტახანოვურ ვახტზე დადგა და გადაწყვიტა 8 თვეში 10 თვის საწარმოო გეგმა შეესრულებინა. ნაკისრი ვალდებულება მან წარმატებით გაანაღდა, ამასთან მნიშვნელოვნად გააუმჯობესა გამოშვებული პროდუქციის ხარისხი და მარტო სექტემბერში სამშობლოს გეგმის გადამეტებით რამდენიმე ასეული მეტრი აბრეშუმის ქსოვილი მისცა.

მოწინავე ფეიქარმა ოსტატ დ. ალიბეგაშვილთან ერთად გაადიდა დაზგების სიჩქარე, ამასთან გაზარდა ქსელის სიგრძე. თუ წინათ ქსელი მოკლე იყო და ხშირად საჭიროებდა შეცვლას, ამჟამად მერი ნემსაძე იმდენად გრძელი ქსელით ქსოვს, რომ თითქმის მთელი კვირა აღარ სჭირდება ქსელის შეცვლა. ამით ქსელის მისაბმელი დროს შემცირებასთან ერთად საგრძნობლად გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხიც. ამ ღონისძიების განხორციელებამ შეამცირა დაზგების მოცდენა და მნიშვნელოვნად გაზარდა მათი წარმადობა.

მ. ნემსაძისა და დ. ალიბეგაშვილის მუშაობის მეთოდს ახლა სხვა ფეიქრებიც ფართოდ იყენებენ.

ლ. ლომიძე.

ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲔᲦᲔᲑᲘ

სამტრედია. (საკ. კორ.). მშობლიური კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებებს წარმატებით ანაღდებენ რკინიგზის სამტრედიის კვანძის საწარმოები. განსაკუთრებით დაწინაურდა სავაგონო დეპოს კოლექტივი, რომელიც ყრილობის აღსანიშნავ სტახანოვურ ვახტზე დგას. მევაგონეებმა 9 თვის გეგმა 25 სექტემბრისათვის გაანაღდეს და გეგმის გადამეტებით კაპიტალური შეკეთებიდან გამოუშვეს 6 ვაგონი, საშუალო შეკეთებიდან —7, ხოლო წლიური შეკეთებიდან — 3 ვაგონი.

სოციალისტურ ვალდებულებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ წამყვან პროფესიათა სტახანოველები — ორდენოსანი მჭედელი ვ. კოხრეიძე, მექვაბე პ. ცომაია, ელექტროშემდუღებელი ბ. ნანაძე, დურგალი პ. მანჯგალაძე, ზეინკალი ბ. ნიკურაძე, რომლებიც ახლა 1953 წლის ანგარიშში იძლევიან პროდუქციას.

ᲜᲐᲙᲘᲡᲠᲘ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲔᲡ

თბილისი. ავტოსარემონტო ქარხნის კოლექტივმა გადაჭარბებით გაანაღდა ყრილობისადმი მიძღვნილი შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება — 103 პროცენტით შეასრულა სექტემბრის გეგმა და დავალების გადამეტებით შეაკეთა რამდენიმე ათეული მანქანა, 120 ათასი მანეთის ნაცვლად გამოუშვა 200 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია, შეამცირა თვითღირებულება და დაზოგა ელექტროენერგია.

* * *

ბათუმი. ლუდის კომბინატის საამქროებმა ვადამდე გაანაღდეს XIX ყრილობისადმი მიძღვნილი შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებები — 25 სექტემბრისათვის შესრულებულია ლუდის გამოშვების თვიური გეგმა, დავალების გადამეტებით გამოშვებულია ნახევარ მილიონამდე ლიტრი ლუდი.

* * *

ჩაქვი. ჩაის საწნეხი ფაბრიკის კოლექტივმა ვადაზე ადრე, 23 სექტემბრისათვის შეასრულა მწვანე აგურა ჩაის გამოშვების 9 თვის გეგმა, 0,5 პროცენტით შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება, 77,3 პროცენტით გაადიდა შრომის ნაყოფიერება და დიდი რაოდენობით დაზოგა ელექტროენერგია.

გამოვიდა ი. ბ. სტალინის შრომა

„სოციალიზმის ეკონომიური პრობლემები სსრ კავშირში“

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ ცალკე ბროშურად გამოუშვა ამხანაგ ი. ბ. სტალინის შრომა „სოციალიზმის ეკონომიური პრობლემები სსრ კავშირში“.

ბროშურა შეიცავს:

შენიშვნებს 1951 წლის ნოემბრის დისკუსიასთან დაკავშირებულ ეკონომიურ საკითხებზე.

პასუხს ამხ. ალექსანდრე ილიას-ძე ნოტკინისადმი.

ამხ. ლ. დ. იაროშენკოს შეცდომების შესახებ.

პასუხს ამხანაგების ა. ვ. სანინასა და ვ. გ. ვენჟერისადმი.

ბროშურის ტირაჟია 1.500 ათასი ცალი. (საკდესი).

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ Ი. Ბ. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲗᲮᲖᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ ᲘᲐ�პᲝᲜᲘᲐᲨᲘ

ტოკიო. (საკდესი). იაპონიის გამომცემლობა „ოცუკი სიოტეიმ“ იაპონურ ენაზე გამოსცა ამხანაგ ი. ბ. სტალინის თხზულებათა მე-3 ტომი.

ლენინ-სტალინის პარტიის XIX ყრილობისათვის

სოფლის პარტიული ორგანიზაციის საბრძოლო ამოცანა

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად უდიდესი სიამაყის გრძნობითა და პატრიოტული აღმავლობით შეხვდნენ ვანის რაიონის მშრომელები საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას პარტიის XIX ყრილობის მოწვევის შესახებ. საყრილობო მასალების განხილვა და შესწავლა მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი, მთელი პროგრესული კაცობრიობის ბრძენი ბელადისა და მასწავლებლის, მშვიდობის დიდი მედროშის ამხანაგ სტალინისადმი მშრომელთა უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების ახალ, მძლავრ დემონსტრაციად გადაიქცა. ვანელმა კოლმეურნეებმა ერთსულოვნად გადაწყვიტეს თავდადებით იმუშაონ უხვი მოსავლის მოყვანისა და საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

ახალ ხუთწლედში კოლმეურნეობათა წინაშე შესანიშნავი პერსპექტივებია გადაშლილი. მეხუთე ხუთწლიანი გეგმით უმნიშვნელოვანეს ამოცანად არის დასახული ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის ამაღლება, პირუტყვის საზოგადოებრივი სულადობის გადიდება და მისი პროდუქტიულობის შემდგომი ზრდა. ამასთან სერიოზული ყურადღება მიექცევა მიწათმოქმედების კულტურის შემდგომი ამაღლების საქმეს. ამ ამოცანათა განუხრელად განხორციელებისათვის ბრძოლის გზაზე საჭიროდ მიმაჩნია ზოგიერთი მტკივნეული საკითხის გათვალისწინება, რომელთა მოგვარება და დადებითად გადაჭრა სოფლის პარტიული ორგანიზაციების საბრძოლო ამოცანაა.

ამჟამად საქართველოს პარტიული ორგანიზაციები უდიდეს ღონისძიებებს ახორციელებენ უახლოეს წლებში ჩვენი რესპუბლიკის მოთხოვნილების საკუთარი წარმოების პურით დაკმაყოფილების უმნიშვნელოვანესი ამოცანის შესასრულებლად. ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრა უწინარეს ყოვლისა მოითხოვს ხორბლის ნათესი ფართობის გადიდებას და მოსავლიანობის მკვეთრად ამაღლებას. ამ მიზნით უკანასკნელ წლებში ხორბლის კულტურის დანერგვა დაიწყო დასავლეთ საქართველოს ბევრ რაიონში. კერძოდ ვანის რაიონში ხორბალი ახალი ხუთწლედის ბოლოსათვის 3.200 ჰექტარ ფართობს დაიკავებს. მიმდინარე წლის შემოდგომაზე რაიონის კოლმეურნეობები ხორბალს დათესავენ 700 ჰექტარზე.

ჩვენი რაიონის კოლმეურნეობებისათვის ხორბალი ახალი კულტურაა. კოლმეურნეები დიდ დაინტერესებას იჩენენ ხორბლის კულტურისადმი. ისინი გამოცდილებამ დაარწმუნა, რომ აგროწესების ზუსტად გატარების პირობებში ხორბალი უხვ მოსავალს იძლევა. ხორბლის მოსავლიანობის შემდგომი გადიდებისათვის აუცილებელია ამაღლდეს მისი დამუშავების კულტურა. კერძოდ საჭიროა ფართოდ დაინერგოს ხორბლის თესვა ვიწრო მწკრივში და ჯვარედინად. შარშან რაიონის ორ კოლმეურნეობაში ხორბალი ჯვარედინი წესით დაითესა 40 ჰექტარზე, ხოლო ვიწრო მწკრივში თესვა სრულიად არ ჩატარებულა საამისო მანქანების უქონლობის გამო. ამიტომ საჭიროა მტს-ის სატრაქტორო პარკი შეივსოს ვიწრო მწკრივში სათესი მანქანებით ან გადაკეთებულ იქნას არსებული ფართო მწკრივში სათესი მანქანები.

ამასთან ერთად უნდა მოწესრიგდეს ხორბლის ნათესებში მინერალური სასუქების შეტანის საქმე. ამჟამად ნათესებში სასუქების შეტანა ხელით მობნეეთ წარმოებს. ამის გამო არ ხდება ნათესის მთელ ფართობზე თანაბარი დოზით სასუქის განაწილება. ზოგან მეტი დოზით ხდება სასუქის შეტანა, რაც იწვევს ნათესების აოიწვას ან მცენარეთა ვეგეტაციის დაჩქარების გამო პურის ჯეჯილების ჩაწოლას ყვავილობის დაწყებამდე. ნათესების ზოგ ნაწილში კი მცირე დოზით ან სრულიად არ ხდება სასუქი. ყოველივე ეს მნიშვნელოვნად ამცირებს ხორბლის მოსავლიანობას. ამიტომ საჭირო იქნება გაფართოვდეს სასუქების მომბნევი მანქანების წარმოება, რომ ამ სახის მანქანებით მომარაგებულ იქნან მტს-ები.

ვანის რაიონის კოლმეურნეობებში წელს პირველად ინერგება ძვირფასი ტექნიკური კულტურა—ჩაი. წელს შემოდგომაზე იგი 30 ჰექტარზე უნდა გავაშენოთ. მეხუთე ხუთწლედის ბოლოსათვის კი ჩაის პლანტაცია 300 ჰექტარ ფართობს დაიკავებს. ამ კულტურის მოვლა-პატრონობის გამოცდილება ჩვენი რაიონის კოლმეურნეებს არა აქვთ. ამიტომ გადაუდებელ ამოცანას შეადგენს ამ დარგში მასობრივი კვალიფიკაციის კადრების მომზადება, რისთვისაც საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ აქედანვე უნდა იზრუნოს.

სოფელ ქვედა ვანის, სალხინოს, დიხაშოს, ამაღლების, ბზვანის, ზეინდრის, შუამთისა და სხვა სასოფლო საბჭოების კოლმეურნეობათა ფართობებში სიმინდის ნათესებს ყოველწლიურად დიდ ზიანს აყენებს გვალვები. გვალვის შედეგების თავიდან აცილებისა და მოსავლიანობის გადიდების მიზნით აღნიშნული სასოფლო საბჭოების კოლმეურნეობებმა დაიწყეს ვანი-მაიაკოვსკის სარწყავი არხის გაყვანა მდინარე ხანისწყალიდან. არხის საერთო სიგრძიდან 20 კილომეტრი ვანის რაიონის ტერიტორიაზეა გაყვანილი. გეგმით გათვალისწინებული 45.000 კუბმეტრი მიწის სამუშაოებიდან შესრულებულია 35.000-მდე კუბმეტრი. კოლმეურნეებმა რამდენიმე ათასი კაცდღე იმუშავეს. მაგრამ შემდეგ არხის მშენებლობაზე დამამთავრებელი სამუშაოები შეჩერდა. საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტრო ამ მნიშვნელოვან საქმეს უყურადღებოდ მოეკიდა. არხის მშენებლობის დასამთავრებლად საჭიროა რამდენიმე ტექნიკურ ნაგებობათა აშენება. ჩვენი რაიონის კოლმეურნეთა ერთსულოვანი მოთხოვნაა არხის მშენებლობა დამთავრდეს მომავალი წლის გაზაფხულზე. ეს სარწყავი არხი ვანის რაიონის კოლმეურნეობათა 3.500-მდე ჰექტარ ფართობს მორწყავს, აგრეთვე დიდ სარგებლობას მოუტანს სამტრედიის რაიონის იმ კოლმეურნეობებს, რომელთა საყანე ფართობები მდინარე რიონის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს.

რაიონის სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მევენახეობას. ახალ ხუთწლედში მისი ფართობი უფრო გადიდდება. უნდა გაზარდოს ყურძნის მოსავლიანობაც. ამის შედეგად კოლმეურნეობები მეტი რაოდენობით ჩააბარებენ ყურძენს სახელმწიფოს, ვიდრე ამჟამად აბარებენ. სამტრესტის ვანის ქარხანათა სამმართველოს ორი მარანი ახლაც ვერ ართმევს თავს კოლმეურნეობებისაგან ყურძნის მიღებასა და გადამუშავებას. ამიტომ აუცილებელია დამატებით ერთი მარნის აგება.

პირუტყვის საზოგადოებრივი სულადობის შემდგომი გადიდებისა და მისი პროდუქტიულობის მნიშვნელოვანი ზრდის ამოცანები, რაც ახალი ხუთწლიანი გეგმით არის გათვალისწინებული, ამ დარგში მეტ მოქნილობასა და გონივრულ მუშაობას მოითხოვს. ჩვენი რაიონის კოლმეურნეობებისათვის პირველი რიგის ამოცანას შეადგენს პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის მკვეთრად გაუმჯობესება, რასაც დღემდე სათანადო ყურადღება არ ექცეოდა. ძროხების წველადობის გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად სათანადო ღონისძიებები უნდა გატარდეს ძროხების ბერწიანობის სალიკვიდაციოდ. ამისათვის საჭიროა რაიონში მოეწყოს ხელოვნური დათესვლის პუნქტები, გადაჭრით გაუმჯობესდეს ზოოვეტერინარული მომსახურება, რისთვისაც სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უნდა გაითვალისწინოს უახლოეს დროში რაიონის კოლმეურნეობათა ზოოვეტერინარული სპეციალისტებით უზრუნველყოფა.

ვანის რაიონის პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის განახლებული ხელმძღვანელობის ყოველდღიური დახმარებით ენერგიულად ასწორებენ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელობის მანკიერი სტილით მუშაობის შედეგებს და სისხლსავსე ცხოვრებას იწყებენ, ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ დარაზმონ კოლმეურნეთა მასები მეხუთე სტალინური ხუთწლიანი გეგმით დასახული გრანდიოზული ამოცანების განუხრელად განხორციელებისათვის.

გ. ლილუაშვილი,

საქართველოს კ. პ. (ბ) ვანის რაიკომის მდივანი.

მეფეხსაცმელეთა შენიშვნები

პარტიის XIX ყრილობის მასალების განხილვამ კიდევ უფრო გააცხოველა თბილისის ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის პარტიული ორგანიზაციის მუშაობა, სიახლე შეიტანა მთელ მის საქმიანობაში, უფრო გააქტიურა კომუნისტები. მათ მხურვალედ მოიწონეს ყრილობის ისტორიული დოკუმენტები და ამავე დროს ბევრი ახალი წინადადება და შენიშვნა წამოაყენეს მეხუთე ხუთწლიანი გეგმის დირექტივებისა და პარტიის შეცვლილი წესდების პროექტებთან დაკავშირებით.

მსუბუქი მრეწველობის მუშაკების წინაშე ახალ ამოცანებს აყენებს მეხუთე ხუთწლედის დირექტივების პროექტი. მნიშვნელოვნად დიდდება სამრეწველო საქონლისა და ფართო მოხმარების საგნების წარმოება. 55 პროცენტით გადიდდება ტყავის ფეხსაცმლის გამოშვება.

საგრძნობლად გაიზრდება ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის პროდუქციაც. ფაბრიკა კი ყოველ წელიწადს ჩამორჩება საწარმოო დავალებათა შესრულებაში. ამის ძირითადი მიზეზია წარმოების მოუმარაგებლობა ნედლეულით. ამიტომ ფაბრიკის დირექტორს ამხ. რ. ნიკოლაიშვილს საჭიროდ მიაჩნია ახალ ხუთწლიან გეგმაში გათვალისწინებულ იქნას ბერიას სახელობის ფაბრიკასთან ტყავის ქარხნის აგება, რომელიც დააკმაყოფილებს საწარმოს მოთხოვნილებას ძირითადი ნედლეულით და საშუალებას მისცემს მას მთელი ძალით გამოავლინოს თავისი შესაძლებლობანი.

მეორე შემკერავი საამქროს ოსტატი ამხ. გ. შაკიაშვილი წინადადებას იძლევა, რომ პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად ხუთწლიანი გეგმა უფრო მკაცრ მოთხოვნებს ითვალისწინებდეს.

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის მშრომელთა კულტურული მოთხოვნილებების ზრდასთან დაკავშირებით ინჟინერი ამხ. ნ. შნინი საჭიროდ თვლის თბილისში სატელევიზიო სადგურის აგების საკითხის გადაწყვეტას.

ასეთივე საქმიანი წინადადებები და შენიშვნები წამოაყენეს ფაბრიკის კომუნისტებმა პარტიის შეცვლილი წესდების ტექსტის პროექტისათვის.

პარტიის შეცვლილი წესდების პროექტის 59-ე პარაგრაფის მიხედვით პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბიუროები ირჩევა ერთი წლის ვადით. საგამომჭრელო საამქროს მექანიკოსი ამხ. ა. ბარკოვი ამ დროს საკმარისად არ თვლის. პირველადი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობაში მოდის პარტიის ბევრი ახალგაზრდა წევრი. ისინი ერთი წლის განმავლობაში ვერ ასწრებენ პარტიული მუშაობის სათანადო გამოცდილების მიღებას. ამიტომ, მისი აზრით, სასურველია, რომ პირველადს ორგანიზაციებში არჩევნები ეწყობოდეს წელიწადნახევარში ერთხელ.

წინადადებანი პარტიის შეცვლილი წესდების ზოგიერთი პარაგრაფის შესახებ

რედაქციაში შემოსული წერილების მიმოხილვა

რედაქციას ყოველდღიურად მრავალი წერილი მოსდის პარტიის შეცვლილი წესდების ტექსტის პროექტის განხილვასთან დაკავშირებით. წერილების ავტორები მხურვალედ იწონებენ პარტიის შეცვლილი წესდების პროექტს, ამასთან ერთად შემოაქვთ თავიანთი წინადადებანი და შენიშვნები, რომლებიც მიმართულია პარტიის წევრის სახელწოდების შემდგომი ამაღლებისაკენ, მთელი პარტიული მუშაობის გაუმჯობესებისაკენ.

ამხ. **ნ. ჭანტურია** (ქ. ცხაკაია) წინადადებას იძლევა პარტიის შეცვლილი წესდების პროექტის პირველი პარაგრაფის პირველ აბზაცს დაემატოს სიტყვა „მოწინავე“ და ჩამოყალიბებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია არის თანამოაზრეების — კომუნისტების ნებაყოფლობითი საბრძოლო კავშირი, ორგანიზებული მუშათა კლასის, მშრომელი გლეხებისა და მშრომელი ინტელიგენციის მოწინავე ადამიანებისაგან“.

ამხ. **ბ. სილაგაძე** (ქ. თბილისი) სურვილს გამოთქვამს, დაკონკრეტდეს პარტიის შეცვლილი წესდების პროექტის მეხუთე პარაგრაფის „ა“ პუნქტი და ფორმულირებულ იქნას იგი შემდეგი სახით:

„პარტიის წევრად შემსვლელნი წარადგენენ რეკომენდაციებს პარტიის სამი წევრისაგან, რომელთაც აქვთ პარტიული სტაჟი არანაკლებ სამი წლისა და რომელნიც იცნობენ მათ სულ მცირე ერთი წლის ერთად მუშაობით რეკომენდაციის მიცემის დღემდე“.

ამხ. **მ. დოლონაძე** (ტყიბულის რაიონი) მოითხოვს პარტიის შეცვლილი წესდების პროექტში ზუსტად იქნას განსაზღვრული იმ საწევრო შესატანის რაოდენობა, რასაც კოლმეურნე კომუნისტები იხდიან.

ამხ. **შ. ფრანგიშვილს** მიზანშეწონილად მიაჩნია პარტიის შეცვლილი წესდების პროექტის მესამე პარაგრაფს დაემატოს პუნქტი იმის შესახებ, რომ პარტიის წევრი მოვალეა:

„იყოს ხალხის ბედნიერებისათვის თავდადებული მებრძოლი, კაპიტალიზმის გადმონაშთებისაგან, პირადი გამდიდრების მიდრეკილებისაგან თავისუფალი“.

ამხ. **ა. ანდღულაძე** (ბათუმის რაიონი) და ამხ. **ლ. აბალაკი** (გორის რაიონი) წინადადებას აყენებენ: ვინაიდან ჩვენს ქვეყანაში დიდი ნაბიჯია ლიკვიდირებულია ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, პარტიის შეცვლილი წესდების მეორე პარაგრაფიდან, როგორც ზედმეტი, ამოღებულ იქნას სიტყვები: „რომელიც ექსპლოატაციას არ უწევს სხვის შრომას“.

ამხ. **კ. კვინტარაძე** (ჩოხატაურის რაიონი) წერს, რომ, როგორც ცნობილია, კომკავშირის რაიონული კომიტეტი საკავშირო ალკკ წევრს პარტიაში მისაღებად რეკომენდაციას აძლევს პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის შუამდგომლობით. ამის მიხედვით პარტიის შეცვლილი წესდების მეხუთე პარაგრაფის „ა“ პუნქტის პირველი შენიშვნა ფორმულირებულ უნდა იქნას შემდეგნაირად:

„პარტიაში საკავშირო ალკკ წევრების მიღებისას საკავშირო ალკკ რაიონული კომიტეტის რეკომენდაცია, რომელსაც აძლევს პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის შუამდგომლობით, უდრის პარტიის ერთი წევრის რეკომენდაციას“.

ამხ. **დ. ესაკია** (აბაშის რაიონი) სურვილს გამოთქვამს, რომ პარტიის შეცვლილი წესდების პროექტის მესამე პარაგრაფის „ი“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„იყოს გულმართალი და პატიოსანი პარტიის წინაშე, არ დაუშვას ცილისწამება, სიმართლის დაფარვა და დამახინჯება. პარტიის წინაშე კომუნისტის არაგულმართლობა და პარტიის მოტყუება, ცილისმწამებლობა უმძიმესი ბოროტებაა და შეუთავსებელია პარტიის რიგებში ყოფნასთან“.

ამხ. **შ. კუხალაშვილი** (ადიგენის რაიონი) წინადადებას აყენებს პარტიის შეცვლილი წესდების პროექტის მესამე პარაგრაფის „ე“ პუნქტი ფორმულირებულ იქნას ასე:

„მუშაობდეს თავისი შეგნებულობის ასამაღლებლად, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების შესათვისებლად, სისტემატურად ზრუნავდეს მასების კომუნისტურად აღზრდისათვის, ადამიანთა შეგნებიდან კაპიტალიზმის გადმონაშთების აღმოფხვრისათვის“.

ამხ. **ა. ერაძე** (ტყიბულის რაიონი) მიზანშეწონილად თვლის პარტიის შეცვლილი წესდების პროექტის მე-9 თავს „პარტია და კომკავშირი“ დაემატოს ერთი პარაგრაფი, სადაც განსაზღვრული იქნება პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლი და დახმარება პირველადი კომკავშირული ორგანიზაციებისადმი.

კიროველი ჩარხმშენებლები ახალი ამოცანების წინაშე

ა. მელაძე,

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის დირექტორი.

პარტიის XIX ყრილობის დირექტივების პროექტი მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ ითვალისწინებს ძმიმე ლითონსაჭრელი ჩარხების წარმოების ზრდას 2,6-ჯერ. საბჭოთა კავშირის ჩარხმშენებელთა წინაშე დირექტივების პროექტით დასახული ეს სპეციალური ამოცანა უშუალოდ ეხება თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანასაც.

ჩვენი ქარხანა უშვებს უნივერსალურ სახარატო ხრახნსაჭრელ და სხვადასხვა სპეციალური სახარატო ხრახნსაჭრელი „1963-ა“ მოდელის ჩარხები, რომლებსაც საბჭოთა კავშირში მხოლოდ კიროვის სახელობის ქარხანა უშვებს, ფართოდ არის ცნობილი ჩვენი ქვეყნის მრეწველობაში.

ქარხნის საკონსტრუქტორო ბიუროს კოლექტივმა (მთავარი კონსტრუქტორი ამხ. ლ. კულიკოვი) გასული წლების მანძილზე შექმნა მთელი რიგი ახალი კონსტრუქციის შესანიშნავი ჩარხები. მათ რიცხვში ზოლურშემოსაჭრელი ჩარხები, რომელთა დანიშნულებაა თითქმის ერთნაირი მეტრი დიამეტრისა და ექვს მეტრზე მეტი სიგრძის ფოლადის მილების დამუშავება.

კომუნისტ კონსტრუქტორის ამხ. გ. ბენდიქიძის ხელმძღვანელობით კონსტრუირებული და დამზადებულია საბჭოთა კავშირში პირველი ქურო-სახრახნი ჩარხი დიდი დიამეტრის ქუროების მანქანით დასახრახნად მილებზე.

ქარხნის მიერ ათვისებული და გამოშვებულია აგრეთვე ძმიმე წონის ნახევრად ავტომატური 33-ტონიანი ჩარხები, რომლებიც განკუთვნილია ქუროების გაჩარხვისა და მათი კონუსური ხრახნკუთხვილის მოსაჭრელად მომზადებისათვის.

ქარხნის კოლექტივი უდიდესი ენთუზიაზმით მუშაობს აგრეთვე ახალი პროდუქციის — დამხვევი მანქანის ათვისებაზე. ეს მანქანა ელექტრომრეწველობის სამინისტროს შეკვეთით მზადდება და განკუთვნილია კომუნიზმის დიადი მშენებლობებისათვის მსხვილი ელექტრომოწყობილობის დასამზადებლად.

უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში კიროვის სახელობის ქარხანამ ათვისა და გამოუშვა 25-ზე მეტი სხვადასხვა ახალი მოდელის ჩარხები, რომლებიც პირველად არის დამზადებული საბჭოთა კავშირში და გამოირჩევა მაღალი წარმადობითა და მართვის სიადვილით. მეხუთე ხუთწლედის ბოლომდე ქარხანამ უნდა შექმნას 15-16 ახალი მოდელის ჩარხები სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგებისათვის.

სერიული ჩარხების ტექნოლოგიისა და წარმოების ორგანიზაციის ძირფესვიანად შეცვლამ და ნაკადურ მეთოდზე გადასვლამ შესაძლებლობა მოგვცა გამოგვევლინებინა და გამოგვეყენებინა მნიშვნელოვანი შინაგანი რეზერვები. თუ 1947 წელს ერთი ჩარხის დამზადებას 1712 საათის შრომა ხმარდებოდა, ახლა 559 საათი ხმარდება. შრომის ნაყოფიერება ამავე პერიოდში გაიზარდა 120 პროცენტზე მეტით, ჩარხების გამოშვების რაოდენობა გადიდდა თითქმის ოთხჯერ, თვითღირებულება შემცირდა დაახლოებით ორჯერ. სოციალისტური შეჯიბრებისა და სტახანოვური მოძრაობის ფართოდ გაშლით წელს შესაძლებელი გახდა გადაგვეჭარბებინა ნაკადური წარმოების დაპროექტებული სიმძლავრისათვის.

წინასწარი ვარაუდი ცხადყოფს, რომ საამქროს ჩარხების პარკის ზოგიერთი ჩარხით უმნიშვნელო გადიდება და ზოგიერთი მოწყობილობის აუცილებელი დაკომპლექტება შესაძლებლობას მოგვცემს ისე გავადიდოთ სიმძლავრის გამოყენების კოეფიციენტი, რომ ქარხანამ უკვე მომავალ წილს გამოუშვას 25-30 პროცენტით მეტი ჩარხები, ვიდრე წელს, ხოლო 1954 წელს ქვეყანას მისცეს 40-45 პროცენტით მეტი პროდუქცია.

წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესება, მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვა, შრომის ხარჯვის შემცირება, მასალების, სათბობისა და ელექტროენერგიის ეკონომია და სხვა ღონისძიებანი ტარდება წინასწარშედგენილი და მთავარი სამმართველოს მიერ დამტკიცებული გეგმით, რომლის განხორციელება შესაძლებლობას გვაძლევს აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი, მოვსპოთ „ვიწრო“ ადგილები და მივაღწიოთ მარად მზარდი საწარმოო გეგმების შესრულებას.

ქარხანაში ასეთ „ვიწრო“ ადგილს წარმოადგენდა სამჭედლო საამქრო, რომელიც ვერ ასწრებდა საჭირო რაოდენობით მიეწოდებინა ნაჭედი მექანიკური საამქროსათვის. ამის მიზეზი ის იყო, რომ სამჭედლო საამქრო თვითონ აწარმოებდა ნამზადების გადაჭრას პრიმიტიული წესით. ჩვენ ჩამოვაყალიბეთ სპეციალური დამამზადებელი საამქრო, აღვჭურვეთ იგი ლითონების მჭრელი ჩარხებით და ამ საამქროში მოვაწყეთ ნამზადების ცენტრალიზებული გადაჭრა ყველა საამქროსათვის. ამან საშუალება მოგვცა ორჯერ და უფრო მეტად გაგვიდიდებინა სამჭედლო ურიების წარმადობა. ახლა სამჭედლო საამქრო არათუ ასწრებს ნაჭედის საკმაო რაოდენობით გამოჭედვას, არამედ პირველი სექტემბრიდან უკვე შეუდგა დეტალების გამოჭედვას 1953 წლის გეგმისათვის. ჩვენი ამოცანაა განვაგრძოთ მუშაობა შიდასაწარმოო რეზერვების უფრო სრულად გამოყენებისათვის.

ახალი ჩარხების გამოშვებასთან ერთად, საკავშირო მთავრობის გადაწყვეტილებით, ქარხანაში მოვაწყეთ შემკეთებელი საამქრო ძველი გაცვეთილი ჩარხების აღსადგენად, რომლებსაც სხვადასხვა სამინისტროების საწარმოებისაგან ვიღებთ. გასულ და მიმდინარე წელს ქარხანამ აღადგინა და სახალხო მეურნეობას დაუბრუნა მწყობრიდან გამოსული ლითონსაჭრელი ჩარხებისა და წნეხების დიდი რაოდენობა. მაგრამ ამ საამქროს არა აქვს სათანადო ტექნიკური მოწყობილობა. ამის გამო იძულებული ვართ შეკეთებისათვის საჭირო მთელი რიგი სამუშაოები ქარხნის სხვა საამქროებში შევასრულოთ. შემკეთებელი საამქროს საჭირო მოწყობილობით აღჭურვა და მისი გაფართოება საშუალებას მოგვცემდა უკეთ გამოგვეყენებინა სიმძლავრე და გაგვედიდებინა ჩარხების გამოშვება შეკეთებიდან.

მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ პარტიის XIX ყრილობის დირექტივების პროექტი ქარხნის მთელი კოლექტივის მზარდი აქტივობით განვიხილეთ. იმ დიდი ამოცანების შესრულება, რასაც ქარხნის კოლექტივს ახალი ხუთწლიანი გეგმა გვისახავს, მოითხოვს კიდევ უფრო ავამაღლოთ ქარხნის კოლექტივის აქტივობა და ამის საფუძველზე გამოვავლინოთ და აღმოვფხვრათ ყველა ნაკლოვანებანი, რომლებიც ჯერ კიდევ გვაქვს მუშაობაში.

დღემდე მიღწეული წარმატებანი უფრო დიდი იქნებოდა, დროულად რომ აღმოგვეფხვრა სხვადასხვა დანაკარგები და საწარმოო ხელმძღვანელობაში არსებული ნაკლოვანებანი. დავასახელებ ზოგიერთ მათგანს. მიმდინარე წლის განვლილ 8 თვეში ქარხნის მოწყობილობა გაცდა თითქმის 9 ათასი საათით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ ამ მიზეზით ქარხანამ ქვეყანას დააკლო ათეულ ათასობით მანეთის პროდუქცია.

მოწყობილობის შეკეთებისა და მოვლისათვის სპეციალური ბრიგადები დაკომპლექტებული არ არის კვალიფიციური მუშახელით. ამის გამო შეკეთების ხარისხი ყოველთვის როდია დამაკმაყოფილებელი. საგრძნობ დანაკარგს იწვევს წუნდებული პროდუქციის გამოშვება, რამაც 8 თვეში 208 ათასი მანეთი შეადგინა. ეს იმას ნიშნავს, რომ წუნის მიზეზით ქარხანამ სახელმწიფოს რამდენიმე ჩარხი დააკლო. მართალია გასულ წელთან შედარებით ქარხანამ შეამცირა წუნით გამოწვეული დანაკარგი და ამ მხრივ შესრულა დავალება, მაგრამ არ შეიძლება დღის წესრიგიდან მოიხსნას წუნით დანაკარგების მთლიანად ლიკვიდაციის საკითხი. დანაკარგს იწვევს აგრეთვე ტექნოლოგიური რეჟიმისაგან გადახრა. ამ მიზეზების გამო ძხოლოდ ჩამოთვლილი სამი სახის დანაკარგებით ქარხანამ წელს ქვეყანას 40-მდე ჩარხი დააკლო.

დანაკარგებს სხვა მიზეზებიც იწვევს. ქარხნის სამეურნეო ხელმძღვანელობის, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანაა მთლიანად გამოავლინონ ეს მიზეზები, აღმოფხვრან ნაკლოვანებანი, შიდასაქარხნო რეზერვებისა და საწარმოო სიმძლავრეთა უკეთესად გამოყენებით გაადიდონ ჩარხებისა და მუშების სასარგებლო მუშაობა და ის შრომა, რომელიც ჯერ კიდევ უნაყოფოდ იხარჯება, წარმართონ ჩარხების დამატებითი რაოდენობის გამოშვებისათვის.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ისეთ სერიოზულ ნაკლოვანებებს, როგორიც არის უნაყოფო, არასაწარმოო ხარჯები, რომლებიც სხვადასხვა არაგეგმიანი ხარჯებისაგან შედგება. ამ თანხაში შედის ყოველგვარი ჯარიმები, სესხის პროცენტული ანარიცხები და სხვა თანხები, რომლებსაც ქარხანა უხდის სხვადასხვა ორგანიზაციებს ხელშეკრულების ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის. განვლილ 8 თვეში ქარხანამ უნაყოფო ხარჯების სახით 400 ათას მანეთზე მეტი გადაიხადა. ჩვენი ამოცანაა ახალ ხუთწლედში მთლიანად აღმოვფხვრათ უნაყოფო ხარჯები.

შემდეგი სერიოზული ნაკლი, რაც უსათუოდ უნდა აღმოვფხვრათ, არის შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევების მნიშვნელოვანი რაოდენობა. შრომის დისციპლინის დამრღვევთა უმეტესობა ახალგაზრდა მუშები არიან. მუშახელის შენარჩუნებისა და შრომის დისციპლინის განმტკიცების საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. ამ მხრივ ქარხნის შესაძლებლობანი განსაკუთრებით შეზღუდულია. საბინაო მშენებლობისათვის სახელმწიფო დიდ თანხებს გვაძლევს, მაგრამ საიჯარო ორგანიზაციებ— ამერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის ქალაქმშენი, რომელიც ქარხანაში სამშენებლო სამუშაოებს იწვევა, სისტემატურად ფუშავს გეგმას. საჭიროა ამ მიმართულებითაც გარდაიქმნას მუშაობა.

საჭიროდ მიგვაჩნია შევჩერდეთ კიდევ ერთ არსებით საკითხზე, რაც დიდ დანაკარგებს იწვევს. ავჭალის ფოლადთუჯის სამსხმელო ქარხნიდან ჩარხებისათვის მიღებული სხმული წუნის დიდ პროცენტს შეიცავს. 8 თვეში მექანიკური დამუშავების პროცესში ჩვენმა ქარხანამ გამოავლინა წუნი და აღნიშნულ ქარხანას წარუდგინა ანგარიში ერთი მილიონ მანეთზე მეტი თანხის ოდენობით. ხელშეკრულების თანახმად ავჭალის ფოლად-თუჯის სამსხმელო ქარხანა ჩვენს ქარხანას უხდის წუნის ხარჯებს. ერთი შეხედვით, თითქოს სხმულის ამ მომწოდებელი ქარხნის მიზეზით ჩვენ არაფერს ვკარგავთ. სინამდვილეში კი ასე როდია. ფაქტიურად ჩვენ ვკარგავთ დროს, რაც ხმარდება იმ სხმულის დამუშავებას, რომელიც შემდეგში დაწუნებულ იქნა. ეს საკმაოდ დიდი დროა და იგი შეიძლებოდა გამოგვეყენებინა დამატებითი ჩარხების გამოსაშვებად.

ფოლად-თუჯის სამსხმელო ქარხნის ხელმძღვანელობამ საფუძვლიანად უნდა გააუმჯობესოს თავისი მუშაობა და უზრუნველყოს ვარგისი სხმულის გამოშვება.

როგორც ზემოთ აღნიშნულიდან ჩანს, კიროვის სახელობის ქარხნის ხელმძღვანელობამ ახალ ხუთწლედში ბევრი რამ უნდა გააკეთოს მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანას სიძნელეებთან ბრძოლის მდიდარი გამოცდილება აქვს. შინარეზერვების მობილიზაციის გზით იგი სისტემატურად ადიდებს პროდუქციის გამოშვებას, მრავალი წლის მანძილზე მუდამ გადაჭარბებით ასრულებს საგეგმო დავალებას.

მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ ჩვენი პარტიის XIX ყრილობის დირექტივების პროექტით აღფრთოვანებული კიროველი ჩარხმშენებლები მზად არიან უფრო მეტი ენერგიით იბრძოლონ ახალი ხუთწლედით მათს წინაშე დასახული ამოცანების სასახელოდ შესრულებისათვის და თავიანთი წვლილი შეიტანონ კომუნიზმის მშენებლობის დიადი პროგრამის განხორციელებაში.

ჩაის კრეფის ჯემპი უნდა გაძლიერდეს

ლანჩხუთელმა მოწინავე მეჩაიეებმა სექტემბერში გააძლიერეს ფოთლის კრეფის ტემპი. ამის შედეგად ბევრ კოლმეურნეობაში წლიური დავალების შესრულება დასასრულს უახლოვდება. სოფელ მამათის ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ წლიური გეგმით გათვალისწინებული 667 ათასი კილოგრამიდან უკვე მოკრიფა 600 ათას კილოგრამზე მეტი ფოთოლი. მოკრეფილი ფოთლიდან მეორე ხარისხისაა მხოლოდ 14 პროცენტი. ასევე წინ მიდიან და საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებას წარმატებით ანაღდებენ სოფელ მაჩხვარეთის ენგელსის, წყალწმინდის მარქსისა და ნიგვზიანის კალინინის სახელობის კოლმეურნეობები.

მაგრამ ყველგან ასე ბეჯითად როდი მუშაობენ. სოფელ ზემოაკეთის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ამხ. გ. პინაიშვილი) როგორც მაისში, ისე ივნის-ივლისსა და აგვისტოში შრომის მოუწესრიგებლობის შედეგად ფოთლის კრეფის დავალება ვერ შეასრულეს. სექტემბერში ჩაი უხვად იყო შემოსული. მიუხედავად ამისა, კრეფის ტემპი შეანელეს და დავალება სანახევროდაც ვერ გაანაღდეს. კოლმეურნეობის გამგეობა და პირველადი პარტიული ორგანიზაცია ამ ჩამორჩენას ურიგდებიან.

კოლმეურნეობაში ასეთი ჩამორჩენა გამოწვეულია იმით, რომ დღემდე ძალები მოფიქრებულად ვერ გაანაწილეს. არის მუშახელის გაცდენა. მაგალითად, აგვისტოში მარტო პირველ ბრიგადაში გაცდა 191 კაც-დღე. ეს სექტემბერშიც გაგრძელდა. მარტო ერთ დღეს — 14 სექტემბერს გაცდა 28 კაცი. მსგავსი მდგომარეობაა სხვა ბრიგადებშიც. საკოლმეურნეო შრომაში არ მონაწილეობს ვენერა ქანთარია, სამუშაოს ხშირად აცდენენ კოლმეურნეები შ. ჩხაიძე, ა. ხუხუნაიშვილი და ბევრი სხვა.

კოლმეურნეობის გამგეობა და პირველადი პარტიული ორგანიზაცია სათანადო კონტროლს არ უწევენ ფოთლის კრეფის წესების დაცვას. ამის შედეგად კოლმეურნეობის მიერ მოკრეფილი ფოთლიდან 30,7 პროცენტი მეორე ხარისხისაა.

ჩაის ნიდლიულის დამზადების წლიური გეგმის შესრულება საფრთხეშია აგრეთვე სოფელ ჭანჭათის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ მოუწესრიგებელია შრომა, კოლმეურნეები სრული დატვირთვით არ მუშაობენ. გააჭიანურეს პლანტაციის მესამე თოხნა. სრული უპასუხისმგებლობა გამოიჩინეს პლანტაციის მეოთხე თოხნაში. ეს სამუშაო შეუწყნარებლად გააჭიანურეს.

კოლმეურნეობის ხელმძღვანელები ჩაის სამუშაოებში ასეთ ჩამორჩენას მუშახელის ნაკლებობითა და უამინდობით ხსნიან, მაგრამ ნამდვილი მიზეზი შრომის მოუწესრიგებლობა და კოლმეურნეობისადმი არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობაა. აგვისტოში გაცდა 249 კაც-დღე. ეს გაცდენები უფრო მეტია სექტემბერში. საბავშვო ბაღის მოუწყობლობის გამო ბავშვიან ქალებს შესაძლებლობა არა აქვთ აქტიური მონაწილეობა მიიღონ შრომაში.

ჩაის განუწყვეტლივ არ კრეფენ და შრომა ვერ მოაწესრიგეს სოფელ ჭყონაგორას რუსთაველის, ჩოლობარგის კეცხოველის, ნიგოითის ლიბკნეხტის სახელობისა და სხვა კოლმეურნეობებში. ამ კოლმეურნეობებში ფოთოლი კარგად არის შემოსული. მიუხედავად ამისა, ყოველდღიურ დავალებას სანახევროდაც ვერ ასრულებენ. 1 ოქტომბრისათვის სულ რაიონში ჩაის კრეფის წლიური გეგმა შესრულებული იყო 78,7 პროცენტით, ხოლო სექტემბრისა — 30,8 პროცენტით.

პარტიის ლანჩხუთის რაიკომმა უკანასკნელ თვეში მეტი ყურადღება მიაქცია ჩაის სამუშაოთა მიმდინარეობას. აგვისტოს მეორე ნახევრიდან ეს საკითხი სპეციალურად რამდენჯერმე განიხილა ბიუროზე და ფოთლის კრეფის გაჭიანურებაში დამნაშავენი ღირსეულად დაისაჯნენ.

მაგრამ ჩამორჩენის გამოსასწორებლად ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. საჭიროა უფრო ოპერატიულად ვუხელმძღვანელოთ და დავეხმაროთ ჩამორჩენილ კოლმეურნეობებს. ჩაის ფოთოლი უნდა იკრიფებოდეს განუწყვეტლივ, ყოველდღიურად. შრომითი რესურსების მთლიანად გამოყენებით უახლოეს დღეებში უნდა გამოსწორდეს ნაკლოვანებანი ჩაის კრეფაში.

შ. ჯოჯუა,

„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

ჩაის ფოთლის დამზადება

საქართველოს ჩაის ტრესტის 1 ოქტომბრის ცნობებით

რაიონების დასახელება	გეგმის შესრულება პროცენტობით: წლიურის	ოქტომბრის დავალების	მახარაძის	83,9	42,4
ბათუმის	93,7	74,0	ჩოხატაურის	72,9	20,3
ქობულეთის	91,9	66.4	ლანჩხუთის	78,7	30,8
ქედის	103,3	100,0	სამტრედიის	65,4	22,1
სულ აჭარის ასსრ-ში	**92,4**	**68,3**	წულუკიძის	63,2	16.2
გალის	80,3	38,4	ქუთაისის	74,3	15,4
ოჩამჩირის	79,5	36,5	წყალტუბოს	54,4	3,3
გულრიფშის	85,8	45,9	ტყიბულის	70,4	18,1
სუხუმის	69,7	10.2	ცხაკაიას	65,6	19,4
გუდაუთის	95,6	71,9	აბაშის	50,7	12,2
სულ აფხაზეთის ასსრ-ში	**81,5**	**39,2**	გეგეჭკორის	83,2	41,6
			ზუგდიდის	82,5	44,8
			წალენჯიხის	89,6	59,7
			ჩხოროწყუს	76,0	28,3
			ხობის	70,9	30,6
			თერჯოლის	65,4	2,6
			ზესტაფონის	64,7	1,6
			სულ ქუთაისის ოლქში	**79,3**	**34,8**
			სულ საქართველოს სსრ-ში	**81,9**	**40,1**

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში

1 ოქტომბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გ. მ. პუშკინმა მიიღო დანიის დესპანი ბ-ნი ჰერგელი და გაუკეთა მას შემდეგი განცხადება:

„როგორც ჩანს დანიის მთავრობის წევრთა განცხადებებიდან, რომლებიც ამა წლის ივლისსა და აგვისტოში გამოქვეყნდა, აგრეთვე პრესის ცნობებიდან, დანიის მთავრობას განზრახული აქვს ღაუშვას უცხო სახელმწიფოთა — ატლანტიკის კავშირის წევრთა შეიარაღებული ძალების განლაგება მშვიდობიან დროს დანიის ტერიტორიაზე, გადააქციოს რა ამრიგად დანია უცხოეთის ჯარების ბაზად, და მოლაპარაკება გამართა ამ საკითხზე ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასთან.

ეს მოლაპარაკება დაწყებულია წინაალმდეგ დანიის მთავრობის წინანდელი განცხადებებისა იმის შესახებ, რომ უცხოეთის შეიარაღებულ ძალებს არ მიეცემათ მშვიდობიან დროს ბაზები დანიაში.

ამასთან დაკავშირებით საბჭოთა მთავრობა დანიის მთავრობის ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ დანიაში ატლანტიკის კავშირის უცხოეთის ჯარების განლაგება, კავშირისა, რომელიც აგრესიულ მიზნებს ისახავს და რომლის საქმიანობა მიმართულია სსრ კავშირის წინააღმდეგ, იქნებოდა დარღვევა დანიის მთავრობის მიერ თავის 1949 წლის 4 მაისის ნოტაში მოცემული დაპირებებისა, რომ დანია არ მიემხრობა პოლიტიკას, რომელიც აგრესიულ მიზნებს ისახავს და მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. საბჭოთა მთავრობა მოაგონებს დანიის მთავრობას აგრეთვე მის ვალდებულებას, რომელიც ჩამოყალიბებული იყო მოსკოვში დანიის მისიის 1946 წლის 8 მარტის ნოტაში, რომ იგი დააარსებს თავის ადმინისტრაციას კუნძულ ბორნჰოლმზე ისე, რომ მასში არავითარ მონაწილეობას არ მიიღებენ უცხოეთის ჯარები.

დანიის ტერიტორიაზე მშვიდობიან დროს უცხოეთის შეიარაღებული ძალების განლაგება არ შეიძლება გამართლებულ იქნას თავდაცვის მოსაზრებათა მომიზეზებით, რადგან, როგორც ცნობილია, დანიას არავინ ემუქრება და არავინ აპირებს თავს დაესხას მას.

საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია დანიის მთავრობის ყურადღება მიაქციოს იმას, რომ დანიის ტერიტორიაზე უცხოეთის შეიარაღებული ძალებისათვის სამხედრო ბაზების მიცემის განზრახვის განხორციელება შეუძლებელია შეფასებულ იქნას სხვანაირად, თუ არა როგორც აქტი, რომელიც საფრთხეს უქმნის საბჭოთა კავშირისა და ბალტიის რაიონის სხვა ქვეყნების უშიშროებას. საბჭოთა მთავრობა დანიის მთავრობას აკისრებს მთელ პასუხისმგებლობას ასეთი პოლიტიკის შესაძლო შედეგებისათვის“.

საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის აღსანიშნავად

ჩეხოსლოვაკიის მშრომელები ვალდებულებებს ასრულებენ

პრაღა. (საკდესი). სამრეწველო საწარმოებისა და ერთიანი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ასეულ ათასობით მშრომელი მონაწილეობს საკავშირო კ. პ. (ბ) მომავალი XIX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

შახტ „სტახანოვის“ ედუარდ კუხნემის მეშახტეთა ბრიგადა 28 სექტემბერს დღდგა საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის აღსანიშნავ დამკვრელ ვახტზე. მუშაობის დაწყების წინ მაღაროელებმა ვალდებულება იკისრეს ამოეღოთ არა 700 ვაგონეტი ქვანახშირი, როგორც გათვალისწინებულია გეგმით, არამედ 1.000. მეშახტეებმა თავიანთი ვალდებულება გადაჭარბებით შეასრულეს, ამოიღეს 1.070 ვაგონეტი ქვანახშირი.

გაზეთი „რუდე პრავო“ დღეს იუწყება, თუ როგორ ასრულებს სოციალისტურ ვალდებულებებს ვიტკოვიცის კლემენტ გოტვალდის სახელობის მეტალურგიული ქარხნის პირველი მარტენის ღუმელის მუშათა კოლექტივი. ამ ღუმელის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის გახსნისათვის მოაწყოს 10 ჩქაროსნული დნობა. 26 სექტემბერს პირველი მარტენის ღუმელის კოლექტივმა უკვე მოაწყო სპეციალური ფოლადის მეცხრე ჩქაროსნული დნობა და კარგ შედეგებს მიაღწია. მეფოლადეებმა ორი საათით შეამცირეს დნობის დრო და 12 ტონა ფოლადი მიიღეს გეგმის გადამეტებით.

პოლონელ მშრომელთა შეჯიბრება

ვარშავა. (საკდესი). პოლონეთში ფართოვდება მშრომელთა შეჯიბრება სეიმის მომავალი არჩევნებისა და საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის აღსანიშნავად. სილეზიის ათობით მოწინავე შახტმა უკვე შეასრულა ქვანახშირის ამოღების სექტემბრის გეგმა. 27 სექტემბერს მესამე კვარტალის გეგმა შეასრულა რიბნიცის ქვანახშირის მრეწველობის გაერთიანების ყველა შახტმა.

მესამე კვარტალის გეგმის შესრულების შესახებ უპატაკეს მეტალურგიული ქარხანა „ბალდონის“, კოსტიუშკოს სახელობის ქარხნისა და ქარხანა „ედნსტის“ მეფოლადეებმა.

გაეცნო რა ეროვნული ფრონტის საარჩევნო პროგრამასა და დოკუმენტებს საკავშირო კ. პ. (ბ) მომავალი ყრილობისათვის, ი. ბ. სტალინის სახელობის ლოძის უდიდესი სართავი ფაბრიკის კოლექტივმა დადგინა არა მარტო ჩამორჩენა აღმოფხვრას, არამედ 100,5 პროცენტითაც შეასრულოს სექტემბრის გეგმა, ხოლო შემდეგ ყოველთვიურად გაადიდოს პროდუქციის გამოშვება 0,5 პროცენტით. მუშებთან ერთად შეჯიბრებაში ჩაება ფაბრიკის მთელი ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი. ამის შედეგად ფაბრიკამ დაიწყო საწარმოო დავალებათა გადამეტებით შესრულება ყოველ დეკადაში. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ახალგაზრდა ოსტატ ლუშნეკის ბრიგადამ, რომელიც წინათ ჩამორჩებოდა. უკვე 27 სექტემბერს მან თვიური გეგმა 115,9 პროცენტით შეასრულა.

მაო ძე-დუნის სტატია

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მესამე წლისთავის გამო გამართულ დარბაზობაზე

პეკინი, 1 ოქტომბერი. (საკდესი). სინხუას სააგენტო გადმოგვცემს:

გუშინ პეკინში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მესამე წლისთავის გამო გამართულ დარბაზობაზე შეკრებილთ მოკლე მისასალმებელი სიტყვით მიმართა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის თავმჯდომარემ მაო ძე-დუნმა.

ძვირფასო მეგობრებო, თქვა მაო ძე-დუნმა, შესრულდა დიდი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაარსების მესამე წლისთავი! გასულ წელს ჩვენ დიდი მუშაობა გავწიეთ ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების, საყოველთაო მშვიდობის დაცვის საქმეში. იმედი მაქვს, რომ მომავალ წელს შევძლებთ უფრო მეტი გავაკეთოთ.

გაუმარჯოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას! გაუმარჯოს ჩინეთის ყველა ეროვნებისა და იმ ჩინელების დიდ ერთიანობას, რომლებიც საზღვარგარეთ ცხოვრობენ! გაუმარჯოს ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელ არმიასა და ჩინეთის მშრომელებს! გაუმარჯოს ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობასა და ერთიანობას! გაუმარჯოს ჩინეთ-მონღოლეთის მეგობრობას და ჩინეთისა და ახალი დემოკრატიის ქვეყნების ერთიანობას! გაუმარჯოს აზიის ყველა ხალხთა მეგობრობასა და ერთიანობას! წარმატებას ვუსურვებ აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების მშვიდობის მომხრეთა კონგრესს! გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს ხალხთა მეგობრობასა და ერთიანობას!

დასასრულ მაო ძე-დუნმა ღიეგრძელობა უსურვა ბანკეტზე ყველა მყოფს.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის მე-3 წლისთავის ღღესასწაული პეკინში

პეკინი, 1 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადების მესამე წლისთავზე, პეკინს განსაკუთრებით საზეიმო და სადღესასწაულო იერი აქვს. დედაქალაქის ცენტრალური მოედანი—ტიანანმინი დროშებით და ტრანსპარანტებით არის მორთული. უზარმაზარ ტრანსპარანტებზე წარწერილია ლოზუნგები: „გაუმარჯოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას!“, „გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს ხალხთა ერთიანობას!“, „გაუმარჯოს მაო ძე-დუნს!“, „გაუმარჯოს ჩინეთის კომუნისტურ პარტიას!“.

მოედანზე მწყობრად ჩამწკრივებულან სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ჯარები, სახალხო ლაშქრის ნაწილები და ნაკრები სამხედრო ორკესტრი. ცენტრალურ და გვერდის ტრიბუნებზე არიან ცენტრალური სახალხო მთავრობის, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს წევრები, მინისტრები, დემოკრატიული პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები, მონღოლეთის მთავრობის დელეგაციის წევრები, ავსტრალიის, ბირმის, ვიეტნამის, გვატემალის, ინდოეთის, ინდონეზიის, კანადის, კორეის, მალაიის, მექსიკის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, პაკისტანის, საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ფილიპინების, იაპონიისა და სხვა ქვეყნების დელეგატები, რომლებიც ჩამოვიდნენ აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების მშვიდობის მომხრეთა კონგრესზე. მშვიდობის მსოფლიო საბჭოს, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის, ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის, სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის, დემოკრატ იურისტთა საერთაშორისო ასოციაციის წარმომადგენლები, უცხოელი სტუმრები და დიპლომატიური კორპუსის წევრები.

ტრიბუნებზე არიან მრეწველობის, სოფლის მეურნეობის მოწინავენი, ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მშენებლები, მეცნიერები, მწერლები, მსახიობები და ჩინეთის ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები. მათ შორის დალაი-ლამისა და პანჩენ-ლამის დელეგაციები, რომლებიც ტიბეტიდან ჩამოვიდნენ ზეიმზე.

დილის 10 საათია. ტაშის გრიალში ცენტრალურ ტრიბუნაზე ადიან ჩინელი ხალხის ბელადი, ცენტრალური სახალხო მთავრობის თავმჯდომარე მაო ძე-დუნი, მისი მოადგილეები, სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერი ჯოუ ენ-ლაი, ცენტრალური სახალხო მთავრობისა და ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები, აგრეთვე მონღოლეთის მთავრობის დელეგაციის მეთაური მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ი. ცედენბალი.

ცენტრალური სახალხო მთავრობის საბჭოს გენერალური მდივანი ლინ ბო-ციუი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადების მე-3 წლისთავისადმი მიძღვნილ დღესასწაულს გახსნილად აცხადებს. სიჩუმეში საზეიმოდ გაისმის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული ჰიმნი და მძლავრი საარტილერიო სალუტი.

დაიგრიალა სალუტის უკანასკნელმა ზალამმა. ყოფილი საზამთრო სასახლის დასავლეთის კარიდან ავტომანქანით გამოდის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის მთავარსარდალი გენერალი ჯუ დე, რომელიც იღებს პარადს. შუა მოედანზე მას ხვდება პარადის სარდალი გენერალი ნე ჟუნ-ჯენი. პატაკის მიღების შემდეგ ჯუ დემ შემოუარა ჯარებს, მიესალმა მებრძოლებს და მიესალმა დღესასწაული. ადის რა ტრიბუნაზე, ჯუ დე აქვეყნებს ბრძანებას სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ჯარებისადმი.

შემდეგ დაიწყო ჯარების სვლა.

სამხედრო პარადმა ცხადყო ძლიერება სახალხო-განმათავისუფლებელი არმიისა, რომელიც ფხიზლად დგას ნათელი და ბედნიერი მომავლის მშენებელი ჩინელი ხალხის მონაპოვართა სადარაჯოზე.

სამხედრო პარადის შემდეგ დაიწყო დედაქალაქის მშრომელთა სადღესასწაულო სვლა. წინ მოდის მედროშეთა კოლონა. მაღლა ფრიალებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი ხუთვარსკვლავიანი დროშა. მას მოჰყვებიან პიონერები, რომლებსაც მოაქვთ რესპუბლიკის გერბი და ტრანსპარანტი სიტყვებით „დიდება ეროვნულ დღესასწაულს!“. კოლონის თავზე მოჩანს სუნ იატ-სენის, ცენტრალური სახალხო მთავრობის თავმჯდომარის მაო ძე-დუნის, სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერის ჯოუ ენ-ლაის, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ლიუ შაო-ცის, ცენტრალური სახალხო მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის ჯუ დეს პორტრეტები, მარქსის, ენგელსის, სოციალისტური რევოლუციის გენიოსების ლენინისა და სტალინის პორტრეტები, აგრეთვე მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელთა პორტრეტები.

ტიანანმინის დიდი მოედანი ცოცხალი ყვავილების ველად იქცა. მოედანზე შემოდის პიონერთა ათიათასიანი კოლონა. კოლონის თავზე ფრიალებს სხვადასხვა ფერის დროშები. ცოცხალ ნაკადად მოდიან პიონერები — ჩინეთის ახალგაზრდობა.

დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 500 ათასმა კაცმა.

სალამოს ტიანანმინის მოედანზე გაიმართა მასობრივი სახალხო სეირნობა. დიდი საყოველთაო-სახალხო დღესასწაულის აღსანიშნავად დაიგრიალა საზეიმო სალუტის ზალპებმა.

ხალხთა სტალინური მეგობრობის დროშით

დღეები უკრაინაში

III

○

ა. ჰეიშვილი

სტალინური პრემიის ლაურეატი

○

დიდი ხნის ოცნება აგვიხდა—გენიჩესკის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში მოვხვდით. ჯერ კიდევ სამამულო ომამდე მთელ საბჭოთა კავშირში ცნობილი იყო სამოქალაქო ომის ვეტერანების მიერ დაარსებული ეს კოლმეურნეობა. თოთხმეტი ათას ჰექტარზე გადაჭიმულა მისი შესანიშნავი, შავნიადაგიანი მიწები. ეს ზოგიერთი რაიონის მთელ სათეს ფართობს აღემატება. კოლმეურნეობამ სახელი გაითქვა შესანიშნავი მოსავლის მიღებით. არანაკლები წარმატება ჰქონდა კოლმეურნეობას მესაქონლეობაშიც. ამასთანავე კოლმეურნეობას სახელი მოუხვეჭა იმ შესანიშნავმა მეგობრობამ, რომელიც მას აკავშირებს ჩვენი რესპუბლიკის მახარაძის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობასთან.

სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული ეს ორი კოლმეურნეობა არათუ უზიარებდა ერთმანეთს გამოცდილებას სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში, არამედ აქტიურ, ქმედით დახმარებასაც უწევდა ერთმანეთს.

სამამულო ომის წლებში, საბჭოთა ხალხის მორალური ძალის გამოცდის ამ მძიმე პერიოდში, კიდევ უფრო განმტკიცდა ამ ორი კოლმეურნეობის მეგობრობა.

სტალინის სახელობის კოლმეურნეობიდან ევაკუირებულმა ბევრმა ოჯახმა თავშესაფარი და გულთბილი კერა ჰპოვა ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში. სამამულო ომის ფრონტებზე დაჭრილი არა ერთი გენიჩესკელი მებრძოლი გამგზავრებულა ჰოსპიტლიდან პირდაპირ სოფელ შრომაში გამოსაჯანმრთელებლად. აქ მათ ისევე გულთბილად იღებდნენ, როგორც საკუთარ ოჯახებში.

როცა ძლევამოსილმა საბჭოთა არმიამ გაწმინდა საბჭოთა მიწა-წყალი ფაშისტი ოკუპანტებისაგან, შრომელმა კოლმეურნეებმა ძმური დახმარების ხელი გაუწოდეს გენიჩესკელებს, დაეხმარნენ დანგრეული კერებისა და მეურნეობის აღდგენაში, გაუგზავნეს პროდუქტები, საოჯახო ნივთები, პირუტყვი. ისევ განახლდა სოციალისტური შეჯიბრება, მოწინავე კოლმეურნეთა დელეგაციების გამგზავრება გენიჩესკიდან მახარაძეში და მახარაძიდან გენიჩესკში. სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული ორივე მხარე დაინტერესებულია ერთმანეთის სამეურნეო და კულტურული აღმავლობით. როცა 1949 წლის სასტიკმა ზამთარმა დააზიანა ციტრუსები შრომის კოლმეურნეობაში, გენიჩესკელები ამას ისე განიცდიდნენ, როგორც საკუთარ ზარალსა და დანაკლისს.

მახარაძელები ყოველთვის მღელვარებით ადევნებენ თვალყურს ამინდის ცნობებს. მათ იციან, რომ გენიჩესკის მდიდარი, ნაყოფიერი მიწის მოსავალს ზოგჯერ დიდ საფრთხეს უმზადებენ გვალვა და ხორშაკი. როცა გამოცხადდა მთავრობის დადგენილება კახოვკის ჰიდროელსადგურის, სამხრეთ უკრაინისა და ჩრდილოეთ ყირიმის სარწყავი სისტემების მშენებლობის შესახებ, მახარაძელებმა წერილი გაუგზავნეს გენიჩესკელ მეგობრებს. მახარაძელებს აინტერესებდათ — მისწვდება თუ არა ქვემოუკრაინის არხის წყალი სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მიწებს. გენიჩესკელებმა დადებითი პასუხით გაახარეს თავიანთი ქართველი მეგობრები.

შევდივართ სტალინის სახელობის კოლმეურნეობის კარმიდამოში. უჩვეულო მღელვარებამ შეგვიპყრო. ბევრი ადგილი მოვვლეთ უკრაინაში — კიევი, მირგოროდი, ზაპოროჟიე, კახოვკა, ხერსონი, ოდესა. რამდენი ათასი კილომეტრი გადავსერეთ თვითმფრინავით, გემით, მანქანებით. ყველგან, ფაბრიკებსა და ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გულთბილად, მეგობრულად გვხვდებოდნენ. ყველგან ვგრძნობდით გულითად, მშობლიურ ატმოსფეროს, რომელიც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ერის შვილს აგრძნობინებს, თუ რაოდენ გაალრმავა ჩვენმა ეპოქამ ყველა კეთილშობილი ადამიანისათვის ძვირფასი სიტყვის — სამშობლოს შინაარსი, თუ რაოდენ გაამდიდრა ხალხთა სტალინურმა მეგობრობამ ამ განუმეორებელ სიტყვასთან დაკავშირებული გრძნობები და განცდები.

მე მინახავს ამ მეგობრობის ბევრი ბრწყინვალე გამოხატულება. ქართველ მეჩაიეებთან შეჯიბრებულ უკრაინელ კოლმეურნეებთან ერთად შემოვიარე მთელი ჩვენი რესპუბლიკა. წლების მანძილზე ვსწავლობდი ამ მეგობრობის გამოვლინებას. თვალყურს ვადევნებდი, თუ როგორ იჭრებოდა ეს მეგობრობა მრავალი ასეული კილომეტრით დაშორებული ადამიანების ყოფაცხოვრებასა და შეგნებაში.

გენიჩესკში მეგულებოდა ამ დაუვიწყარ შეხვედრათა მონაწილენი, რომლებთანაც ერთად ღამე გამითევია მახარაძელ კოლმეურნეთა ჭერქვეშ, რომლებთანაც ერთად განმიცდია ამ მეგობრობის სიხარული. გენიჩესკელთა მიწა-წყალზე კი პირველად დავდგი ფეხი. მანქანიდან ჩამოსვლისთანავე გამოჩნდნენ ეს საყვარელი, ნაცნობი სახეები.

აი თეოდორე სტრიუკი, ძველი მეჯინიბე. სამოქალაქო ომის პარტიზანი და კოლმეურნეობის ერთ-ერთი დამაარსებელი, მოუსვენარი, მუდამ მოხმაურე, სამოცდახუთი წლის ჭაბუკი, როგორც თავის თავს ეძახის ხოლმე. სტრიუკი უკრაინელ კოლმეურნეთა იმ პირველი დელეგაციის წევრი იყო, 1938 წლის შემოდგომაზე რომ ჩამოვიდა სოფელ შრომის კოლმეურნეობაში. ახლა მისი ძარღვიანი ხელები მარწუხივით მოგვხვევია. მან სამჯერ გადაგვკოცნა, მერმე მოგონებებში გადაიკრა:

— ო, ჩვენ რომ შეხვედრა მოგვიწყეს, ისეთი ალბათ არავის ხვდება წილად. ყვავილები, ყვავილები, სადაც კი გავჩერდებოდით; რამდენი თაიგული, ციტრუსების ბაღები, ოქროსფერი ნაყოფით დახუნძლული ხეები, აი, როგორც ზღაპარში გაგიგონია.

— რათა, ძია თედორე, განა ჩვენ შარშან ნაკლები ზეიმით შეგეგებოდნენ? —ჩაერია საუბარში ბამბის უხვი მოსავლის ოსტატი, ალვასავით ტანაყრილი, სახეცქრიალა ირინა პონომარიოვა, —მე, მარია დუბოვიკმა და კატია ფედკომ ისეთი დობილები გავიჩინეთ... ტატიანა ჩხაიძე, ელენე ხელაძე... იმ ოჯახში წამიყვანეს, სადაც ჩემი ძმა ვასია ცხოვრობდა, როცა ჰოსპიტლიდან გამოეწერა. მართლა, დედას გეფიცებით, კედელზე აწერია „ვასია პონომარიოვი, 1943 წელი“, — აღფრთოვანებით ჰყვება ირინა,—ისე შეგვიყვარდა ერთმანეთი, გაცხოველებული მიწერ-მოწერა გვაქვს. ჩვენი ბრიგადის ყველა გოგონა კითხულობს ამ წერილებს. სულ იმაზე ვოცნებობთ, თუ როდის შევხვდებით კვლავ ერთმანეთს. გრიგორი პავლოვიჩი იძახის, რაკი ასე გენატრებათ ერთმანეთი, წელს ნაკისრ ვალდებულებას თუ პირნათლად შეასრულებთ — ჰექტარზე ცამეტ ცენტნერ ბამბას თუ აიღებთ, შენ, მარიასა და კატიას ჩაის კრეფაზე გაგგზავნითო, თქვენს დობილებს კი შემოდგომაზე ბამბის კრეფაზე მოვიწვევთო. ნამდვილი მეგობრობა ეს იქნებაო.

კოლმეურნეობის თავმჯდომარის გრიგორი პავლოვიჩის ხსენება, და მისი „პობედის“ გამოჩენაც ერთი იყო.

სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი აგრეთვე ჩვენი ნაცნობია. შარშან შემოდგომაზე შევხვდი შრომის კოლმეურნეობაში. მაგონდება მისი შინაარსიანი, კრიტიკული გამოსვლა შრომის კოლმეურნეობის გამგეობის სხდომაზე, სადაც სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს ამოწმებდნენ.

შარშან უკრაინელ კოლმეურნეებთან ერთად შრომის კოლმეურნეობას ვათვალიერებდით, ახლა კი კოლმეურნეობის თავმჯდომარესა და პარტორგანიზაციის მდივანს ვასილ რადჩენკოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის დასათვალიერებლად მივყევართ.

ადვილი კი არ არის თოთხმეტი ათას ჰექტარზე გაშლილი მეურნეობის დათვალიერება. თხუთმეტ ხუტორად არის გაფანტული მოსახლეობა ამ ვეება ტერიტორიაზე. ელსადგურის, სკოლის, ფოსტის, რადიოკვანძის, საავადმყოფოს, აფთიაქის, ამბულატორიის, საჩაიე-სასადილოს, უნივერმაღის გემოვნებით აგებული კაპიტალური შენობები ცენტრშია თავმოყრილი. მესაქონლეობის, მეღორეობის, მეცხვარეობის ფერმები კი მთელ ამ ვეება ფართობზეა გაფანტული. ახლა კოლმეურნეობის ნათესები! — რამდენი ათასი ჰექტარი ჰურეული, კარტოფილი, მზესუმზირა, ბამბა, ბალახეული.

თეოდორე სტრიუკმა დაიყინა და თავისი გაიტანა — პირველ რიგში მეცხვარეობის ფერმის დასათვალიერებლად გავემგზავრეთ.

— მე ცხვნის მოტრფიალე ვარ,—ღიმილით გაებადრა თეოდორე სტრიუკს მსუქანი წითური სახე,—უნდა ვუჩვენოთ სტუმრებს ჩვენი ჩორთმავალი ულაყები, წელს რომ გვასახელეს ხარკოვისა და კიევის იპოდრომებზე. თავმჯდომარეც დაჰყვა ნებას. მალე მეცხვენეობის ფერმასთან გაჩნდით. მეჯინიბეებს გამოჰყავთ წმინდა სისხლის, ჯიშიანი ულაყები.

ბედაურები ლაგამს კვნეტენ, ჭიხვინებენ, ტორებით მიწას თხრიან, ყალყზე დგებიან. რეზინის თვლებიანი მსუბუქი ორთვალაც გამოიტანეს და მალე ნამდვილი დღი გაიმართა.

მშვიდი და უშფოთველი, თითქოს მუდამ რაღაც საზრუნავში ჩაფლული კოლმეურნეობის თავმჯდომარეც აიტანა აზარტმა. იგი გვიჩვენებს მოსალოც დეპეშებს, წელს კიევისა და ხარკოვის იპოდრომების ხელმძღვანელებისაგან რომ მოუვიდა სტალინის სახელობის კოლმეურნეობას მათი „ფალავნების“ გამარჯვებათა გამო.

— მაგრამ კმარა, — უცებ თითქოს გონს მოვიდა ლიტოვჩენკო, — ახლა მეძროხეობის ფერმაშიც გადავიდეთ. თორემ ჩვენს დღევანდელ პროგრამას ვერ შევასრულებთ.

საკოლმეურნეო იპოდრომზე ისევ ისმის ბედაურების თქარა-თქური და ბავშვების წამახალისებელი ყიჟინა. ჩვენ კი მწველავებთან მივდივართ. სწორედ სალამოსპირია... პირუტყვი ჰაერზე ჰყავთ. თეთრ

ერთიანი, მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული გერმანიისათვის

ბერლინი, 2 ოქტომბერი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიის ყველა ნაწილში გერმანელი ხალხი მოითხოვს გაგრძელდეს მოლაპარაკება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატასა და ბუნდესტაგს შორის.

ჰელზენკირხენში გაიმართა ქალაქის მცხოვრებთა მასობრივი მიტინგი, რომელზეც სტუდენტი წარმოთქვეს ყოფილმა კანცლერმა დოქტორმა იოზეფ ვირტმა, ყოფილმა ბურგომისტრმა ვილჰელმ ელფესმა, ადრეთვე ინჟინერმა ოსვარ ნიმანმა.

მიტინგის მონაწილეებმა ერთსულოვნად მოითხოვეს სრულიად გერმანიის მოლაპარაკების განგრძობა და მხარი დუჭირეს ბონის სამხედრო ხელშეკრულების წინააღმდეგ ხალხის ნების გამოცხადების კამპანიის გაძლიერებას და გერმანიასთან საბავო ხელშეკრულების დადებას.

დოქტორმა ვირტმა აღნიშნა, რომ წერილები, რომლებიც მან დასავლეთ გერმანიის პრეზიდენტ ჰაისსა და მინისტრ კაიზერს გაუგზავნა და რომლებთაც მოითხოვდა დამყარებულიყო ურთიერთგაგება გერმანელებს შორის, უპასუხოდ დარჩა.

თვითონ მე ან სხვა გერმანელ პატრიოტებს, თქვა ვირტმა, რომ მოგვესურვებინა მოლაპარაკება სახალხო პალატის დელეგატებთან, ჩვენ დევნას დაგვიწყებდნენ. „და მიუხედავად ამისა, — განაცხადა ვირტმა, — მე კვლავაც დავაყენებ გერმანელი ხალხის წინაშე თავისუფლებისა და მშვიდობის საკითხებს“.

დასასრულ დოქტორმა ვირტმა განაცხადა: ჩვენს წინაშეა მხოლოდ ერთი გზა, მხოლოდ ერთი ამოცანა—ვიხსნათ მშვიდობა ჩვენი ხალხისათვის, ჩვენი შვილებისა და თვითონ ჩვენთვის. წინ, ერთიანობისა და მშვიდობისაკენ!

გერმანიის პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრისათვის

პარიზი, 2 ოქტომბერი. (საკდესი). გაზეთმა „ლუმანიტემ“ გამოაქვეყნა გერმანიის პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრისათვის საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის საფრანგეთის მოსამზადებელი კომიტეტის მიმართვა. მოსამზადებელი კომიტეტი მოუწოდებს ყველა რესპუბლიკელს, დემოკრატს პროფკავშირულ, პოლიტიკურ და სხვა ორგანიზაციისა და დაჯგუფებას, ყველას, ვინც შეშფოთებულია გერმანიის მილიტარიზმის აღორძინებით, აქტიური მონაწილეობა მიიღონ კონფერენციის მომზადებაში.

„ჩვენ,—ნათქვამია მიმართვაში, — დაბეჯითებით მოვუწოდებთ საფრანგეთის საზოგადოებრივ აზრს მტკიცედ გაილაშქროს ბონისა და პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის წინააღმდეგ, რომლებიც მათი მიღების შემთხვევაში სერიოზული ნაბიჯი იქნება ომის გზაზე“.

საარჩევნო კამპანია ამერიკის შეერთებულ შტატებში

ჰოლინენის გამოსვლა ნიუ-იორკში

ნიუ-იორკი, 1 ოქტომბერი. (საკდესი). პროგრესული პარტიის კანდიდატმა პრეზიდენტის პოსტზე ვინსენტ ჰოლინენმ, რამდენჯერმე წარმოთქვა სიტყვა ნიუ-იორკში. 29 სექტემბერს დილის 7 საათიდან დაწყებული ჰოლინენმა ნიუ-იორკში წარმოთქვა ათი სიტყვა, რომელთაგან ერთი გადასცა მუნიციპალურმა რადიოსადგურმა.

ყველა თავისი გამოსვლის დროს ჰოლინენი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ საჭიროა კორეაში მშვიდობისათვის და მოელ მსოფლიოში მშვიდობისათვის ბრძოლა და რომ ეს ამერიკელი ხალხის წინაშე მდგომი ცენტრალური საკითხია. შემდეგ ჰოლინენმა აღნიშნა, რომ რესპუბლიკური და დემოკრატიული პარტიების კანდიდატები გასულ კვირაში დავობდნენ იმაზე, თუ რომელ პარტიას ეკისრება პასუხისმგებლობა კორეის ომში შეერთებული შტატების ჩაბმისათვის.

„ამერიკელ ხალხს,—განაცხადა ჰოლინენმა, — აინტერესებს არა იმდენად ის, თუ როგორ ჩავებით ჩვენ ომში, არამედ ის, თუ როგორ გამოვალთ ამ ომიდან. ამ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე ეიზენჰაუერი და სტივენსონი, თითქოს შეთანხმებულნო, დუმნ. მე მოვუწოდებ ჩემს თანამეშაბულე ამერიკელებს მოითხოვონ, რომ ორივე ამ კანდიდატმა შეწყვიტოს უნაყოფო დავა იმაზე, თუ ვის ეკისრება პასუხისმგებლობა ომში ჩვენი ჩაბმისათვის, და შეთანხმდეს მარტივ გეგმაზე, რომლის განხორციელება პრაქტიკულად შესაძლებელი და რომლის მიზანი იქნება ის, რომ ჩვენ გამოვიდეთ ამ ომიდან“.

ჰოლინენმა აგრეთვე განაცხადა, რომ ამერიკის პროფკავშირული მოძრაობა მთავრობამ თანდათან დაუქვემდებარა შემზღუდველ კონტროლს მთელ რიგ ანტიმუშურ ღონისძიებათა საშუალებით, როგორიც არის: ტაფტ-ჰარტლისა და მაკარენის კანონები, ხელფასის გაყინვა, „ტერორის გამეფება სისხლის სამართლის სასამართლოს დადგენილებათა საშუალებით, რომელებსაც ხელს უწყობენ ცრუმოწმეები, მექრთამე სასამართლო ორგანოები და დაშინებული მსაჯულები“. ჰოლინენმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ორივე ძველ პარტიას თანაბარი პასუხისმგებლობა ეკისრება ამ მდგომარეობისათვის, რომელიც ომისა და აგრესიის მათი ორპარტიული პროგრამის ნაწილია.

ჰოლინენმა მოწოდებით მიმართა ამომრჩეველს ხმა მისცენ პროგრესულ პარტიას როგორც მშვიდობის პარტიას. „ჩვენი პარტიისათვის მიცემული თვითეული ხმა,—თქვა ჰოლინენმა,—დაგვეხმარება ბოლო მოვუღოთ ომს კორეაში და შევაჩეროთ კიდევ უფრო ფართო და კიდევ უფრო გამანადგურებელი ომების გაჩაღება“.

ლიბანის დროებითი მთავრობის შედგენა

ლონდონი, 1 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის საგენტოს კორესპონდენტი ბეიროუთიდან დამოწმებულს, გუშინ მას შემდეგ, რაც მარცხით დამთავრდა მესამე კანდიდატის ცდა—ჩამოეყალიბებინა მთავრობა, ლიბანის პრეზიდენტმა კამილ შამუნმა პრეზიდენტის დეკრეტით დანიშნა დროებითი მთავრობა შემდეგი შემადგენლობით:

პრემიერ-მინისტრი, შინაგან საქმეთა მინისტრი, იუსტიციის მინისტრი და ინფორმაციის მინისტრი—ლიბანის ახლანდელი დესპანი ტრანსიორდანიაში ჰალედ შაჰბი.

საგარეო საქმეთა მინისტრი, საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრი, ფოსტის, ტელეგრაფისა და ტელეფონის მინისტრი—მუსა მუბარაკი.

განათლების მინისტრი, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი, ეროვნული თავდაცვის მინისტრი და სოციალურ საქმეთა მინისტრი—ლიბანის დესპანი თეირანში სალიმ ჰაიდარი.

ფინანსთა მინისტრი, ეროვნული ეკონომიკის მინისტრი და სოფლის მეურნეობის მინისტრი — ჟორე ჰაკიმი.

კორეის ამბები

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 1 ოქტომბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაცხადა, რომ გასული დღის მანძილზე სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან თანამოქმედებით ფრონტების ყველა უბანზე ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს ეწეოდნენ.

სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა დღეს ჩამოაგდეს მტრის 2 თვითმფრინავი და დააზიანეს 5 თვითმფრინავი.

ამერიკელთა სამხედრო ხროვის ახალი დანაშაული კორეაში

სამხედრო ტყვეების მასობრივი დახოცვა კუნძულ ჩეჯუდოზე

ლონდონი, 1 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის საგენტოს ტოკიოელი კორესპონდენტის ცნობიდან ჩანს, დღეს ჩინელმა სახალხო მოხალისე სამხედრო ტყვეებმა კუნძულ ჩეჯუდოზე დემონსტრაცია გამართეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადების მე-3 წლისთავის აღსანიშნავად. დემონსტრაციის ჩასახშობად ამერიკელთა ადმინისტრაციამ გამოიყვანა ჯარები, რის შედეგადაც მოკლულია 45 და დაჭრილია 120 სამხედრო ტყვე.

ალბანეთის დემოკრატიული ფრონტის გამარჯვება ხელისუფლების აღგილობრივი ორგანოების არჩევნებში

ტირანა, 1 ოქტომბერი. (საკდესი). 28 სექტემბერს ალბანეთის სახალხო რესპუბლიკაში დამთავრდა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — სასოფლო სახალხო საბჭოების, ლოკალიტეტთა სახალხო საბჭოების და რაიონული სახალხო საბჭოების არჩევნები.

ოფიციალური ცნობებით, რაიონული სახალხო საბჭოების არჩევნებში, რაც 28 სექტემბერს გაიმართა, კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო სიებში შეტანილ ამომრჩეველთა 99,91 პროცენტმა. დემოკრატიული ფრონტის კანდიდატებს ხმა მისცა კენჭისყრის მონაწილეთა 99,71 პროცენტმა, წინააღმდეგ—0,29 პროცენტმა.

საფრანგეთის ხელისუფლები სდევნიან ესპანელ ანტიფაშისტებს

პარიზი, 1 ოქტომბერი. (საკდესი). გაზეთი „ლუმანიტე“ იუწყება, რომ საფრანგეთის მთავრობამ აკრძალა „საფრანგეთში მცხოვრებ ესპანელთა ფედერაციის“ საქმიანობა. ეს ფედერაცია, რომელიც 1946 წელს შეიქმნა, აერთიანებდა საფრანგეთში გადმოხვეწილ ესპანელ ანტიფაშისტებს. მას ჰქონდა მთელი რიგი აღგილობრივი ორგანიზაციები და სასპორტო კლუბები.

„ლუმანიტე“ აღნიშნავს, რომ ეს გადაწყვეტილება, რომლითაც დარღვეულია კონსტიტუციური თავისუფლებანი, არის ახალი გამომწვევი ღონისძიება რესპუბლიკური ანტიფაშისტური ორგანიზაციების წინააღმდეგ. იმიგრანტების დაცვის ფრანგთა კომიტეტმა პროტესტი განაცხადა საფრანგეთის მთავრობის ამ ღონისძიების წინააღმდეგ.

მდგომარეობა ეგვიპტეში

პარიზი, 1 ოქტომბერი. (საკდესი). ფრანს პრესის საგენტოს კორესპონდენტი კაიროდან იუწყება, რომ ეგვიპტის მთავრობამ, რომელსაც დღეს ღამით სხდომა ჰქონდა პრემიერ-მინისტრის მოადგილის თავმჯდომარეობით, გადაწყვიტა გადააყენოს „ალ-აზჰარის“ მუსლმანური უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აბდელ რაჰმან ასამი, აგრეთვე ექვსი დიდი თანამდებობის მოხელე და ორი დიდი თანამდებობის ოფიცერი. გარდა ამისა, მთავრობამ გადაწყვიტა დაითხოვოს გზათა სამინისტროს ხუთი მოხელე.

ჯაუშუ შეთქმულთა კათოლიკური ორგანიზაციის პროცესი ბულგარეთში

სოფია, 2 ოქტომბერი. (საკდესი). ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს გუშინდელ სხდომაზე, რომელიც განიხილავს ჯაუშუ შეთქმულთა კათოლიკური ორგანიზაციის საქმეს, დაიწყო მოწმეთა დაკითხვა.

ჩვენებაში ყველა მოწმე ადასტურებს ბრალდებულთა ჯაშუშურ გამცემლურ საქმიანობას, მათს კავშირს ამპერიალისტურ დაზვერვებთან, მათს მტრულ დამოკიდებულებას სახალხო ხელისუფლებისადმი.

საზღვაროთშორისო საჰაერაკო ტურნირზე

სტოკჰოლმი, 1 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს ყაიმით დამთავრდა ვეიდ (ახალი ზელანდია)—საბოს (უნგრეთი) და ჰილნკ (არგენტინა)—ტაიმანოვის (სსრ კავშირი) გადადებული პარტიები.

მეათე ტურით დამთავრდა ტურნირის პირველი ნახევარი. მონაწილეთა მდგომარეობა ასეთია: კოტოვს (სსრ კავშირი) აქვს $8^1/_2$ ქულა ცხრაში, პეტროსიანს (სსრ კავშირი) და შტალბერგს (შვეცია) — შვიდ-შვიდი ათში, გელერს (სსრ კავშირი) და ტაიმანოვს (სსრ კავშირი)—$6^1/_2$ თვითეულს ცხრაში, საბოს (უნგრეთი)—6 ცხრაში, ბარცას (უნგრეთი) და გლიგორიჩს (იუგოსლავია)—ხუთ-ხუთი ცხრაში, ავერბახს (სსრ კავშირი), სანჩესს (კოლუმბია) და პახმანს (ჩეხოსლოვაკია) ხუთ-ხუთი ათში, მატანოვიჩს (იუგოსლავია), ჰილნკს (არგენტინა) და უნციკერს (დასავლეთ გერმანია) — $4^1/_2$ თვითეულს ათში, შტოლცს (შვეცია) და ელისკაზესს (არგენტინა) ოთხ-ოთხი ცხრაში, სტეინერს (ამერიკის შეერთებული შტატები) $3^1/_2$ ცხრაში, ვეიდს (ახალი ზელანდია)—$3^1/_2$ ათში, ვაიტონისს (კანადა) 2 ცხრაში, გოლომეკს (ინგლისი) 2 ათში, პრინსს (ჰოლანდია)—1 ათში.

ავგო-მოგოგადარბენა თბილისი—ერევანი—თბილისი

თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის ავტო-მოტოკლუბმა მოაწყო საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის აღსანიშნავი ავტო-მოტოგადარბენა მარშრუტით — თბილისი—ერევანი—თბილისი.

გადარბენის მონაწილეთა სტარტი შედგა გუშინ, 2 ოქტომბერს, დილით ბერიას სახელობის მოედანზე. თბილისიდან ერევნისაკენ მწყობრად გაემართა 3 „პობედისა“ და 11 „მოსკვიჩის“ მარკის ავტომანქანისაგან შემდგარი კოლონა, რომელსაც თან მიჰყვება 9 მოტოციკლი.

შეჯიბრების მონაწილეთა შორის არიან ავტომოტოკლუბის წევრები: სსრ კავშირის სახალხო არტისტი ს. ინაშვილი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ა. მინდაძე, დოცენტი ვ. ელაშვილი, პოდპოლკოვნიკი მ. მუსხელი, სპორტის ოსტატი ბ. მელაძე და სხვები.

გადარბენის მონაწილენი დაათვალიერებენ სომხეთის დედაქალაქის ღირსშესანიშნავ ადგილებს და ერევნელ სპორტსმენებს გადასცემენ სამახსოვრო ალამს.

ავტო-მოტომარბიელები თბილისში დაბრუნდებიან საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის გახსნის დღეს, 5 ოქტომბერს.

ნავებით აფხაზეთის სანაპიროსთან

საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის გახსნის აღსანიშნავად საბჭოთა არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი აფხაზეთის ნებაყოფლობითი საზოგადოების საორგანიზაციო კომიტეტის ინიციატივით 5 ოქტომბერს აფხაზეთის სანაპიროს გაყოლებით ეწყობა ლაშქრობა ნავებით სამი მარშრუტით: სუხუმი — კოდორი—სუხუმი; გუდაუთი—ახალი ათონი — გუდაუთი; ოჩამჩირე—კოდორი—ოჩამჩირე.

ლაშქრობაში მონაწილეობენ აფხაზეთის სპორტსმენი ნიჩბოსნები. გამარჯვებულ გუნდებს გადაეცემათ არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების სიგელები.

შემნახველი სალაროების მომგებიანი ანაბრების ტირაჟი

1 ოქტომბერს თბილისის ოფიცრის სახლის საზაფხულო კლუბში გაიმართა საქართველოს სსრ შემნახველ სალაროებში შეტანილი მომგებიანი ანაბრების მორიგი, მე-20 ტირაჟი.

სატირაჟო კომისიის მდივანმა ამხ. ა. ლომთაძემ ღიმსწრეთ გააცნო მომგებიანი ანაბრების მნიშვნელობა და გათამაშების წესი, რის შემდეგ დაიწყო ტირაჟი.

დიდი მოგებანი ხვდა საქართველოს სსრ ყველა შემნახველ სალაროში მომგებიანი ანაბრების ანგარიშთა შემდეგ ნომრებს: № 58 მოიგო ანაბრის საშუალო ნაშთის 200 პროცენტი, № 173 და № 761 — 100 პროცენტი თვითეულმა.

დანარჩენ ოცდაორ ნომერს ხვდა მოგება ანაბრის საშუალო ნაშთის 50 პროცენტის რაოდენობით თვითეულს.

სეზონის გახსნა ზ. ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის თეატრში

შაბათს, 4 ოქტომბერს, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი იწყებს სეზონს. სეზონი გაიხსნება ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისით“, რომელშიც მთავარ როლებს ასრულებენ: სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი პ. ამირანაშვილი (კიაზო), რესპუბლიკის სახალხო არტისტი ნ. ხარაძე (მარო) და რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ა. ჩაკალიდი (ბალხაზი). დირიჟორობს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სტალინური პრემიის ლაურეატი დ. მირცხულავა.

კვირას, 5 ოქტომბერს, დილით ნაჩვენები იქნება რ. ლეონკავალოს ოპერა „ჯამბაზები“ და შემდეგ გაიმართება საკონცერტო განყოფილება. საღამოს წარმოდგენილი იქნება სტალინური პრემიის ლაურეატის დ. თორაძის ბალეტი „გორდა“. გორდას როლს შეასრულებს სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი ვ. ჭაბუკიანი.

სასამართლო

სპეკულანტებს—ღირსეული სასჯელი

მოქალაქე შ. დანიელოვი გაურბოდა პატიოსან შრომას. იგი ფაოთო მოხმარების საქონლს ყიდულობდა და სპეკულაციურ ფასებში ჰყიდდა, მას თანამონაწილეებთან — ი. სიმხაევთან და მ. ყვითელაშვილთან ერთად დანაშაულზე წასწრეს.

დამნაშავეთა საქმე ამას წინათ გაარჩია თბილისის ლენინის რაიონის მეოთხე უბნის სახალხო სასამართლომ (თავმჯდომარე ამხ. გ. ლომიძე) და სპეკულანტებს შ. დანიელოვს, ი. სიმხაევსა და მ. ყვითელაშვილს მიუსაჯა ათ-ათი წლით პატიმრობა, პირადი ქონების კონფისკაცია და სასჯელის მოხდის შემდეგ 3 წლით საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევა.

დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“

პირველი გვერდი: მოწინავე — 1953 წლის მაღალი მოსავლისათვის.

საერთო სათაურით „საბჭოთა ადამიანების შრომითი ვახტი პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავად“ წერილები: ქუთაისელი მეავტომობილეების წარმატება. 10 თვის გეგმა 1 ოქტომბრისათვის. ტყვარჩელელმ მუშახტეებმა ვადამდე შეასრულეს აღებული ვალდებულებანი.

მეორე გვერდი: საერთო სათაურით „ლენინსტალინის დროშით“ წერილები: დ. მუმლაძე — კომუნისტები მოწინავეთა რიგებში არიან. კ. მუმლაძე — დიდი პასუხისმგებლობა. გ. თევოსიანი — პირადი მაგალითის ძალა. დ. გრეენი — დიდი სისწრაფე.

მესამე გვერდი: სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში

გ. კოკელაძე — მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერება. ა. გურგენიძე — პროპაგანდისტი და მასწავლელი.

მეოთხე გვერდი: მაო ძე-დუნის სიტყვა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მესამე წლისთავის გამო გამართულ დარბაზობაზე. უცხოეთის ინფორმაციები. ქალაქის ქრონიკა.

რედაქტორის მოადგილე
ი. ნატროშვილი

3. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია აცხადებს ასპირანტურაში მიღებულ კონკურსს შემდეგ სპეციალობაზე:

თეორიულ-საკომპოზიტორო ფაკულტეტი—მუსიკის ისტორიის განყოფილება — 1 ადგილი.

საკონკურსო გამოცდები სპეციალობაში ჩატარდება 10 ოქტომბერს. ასპირანტურაში შემსვლელებმა უნდა ჩაბარონ გამოცდები შემდეგ საგნებში: სპეციალობა, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლები, უცხო ენა.

განცხადებები მიიღება 8 ოქტომბრამდე.

წარდგენილ უნდა იქნას შემდეგი საბუთები: განცხადება დირექტორის სახელზე, უმაღლესი სასწავლებლის დიპლომი, ცნობა პედაგოგიურ-საწარმოო მუშაობის შესახებ, ავტობიოგრაფია, კადრების აღრიცხვის ფურცელი, დახასიათება სამუშაო ადგილიდან. ცნობა სამხედრო ვალდებულებასთან დამოკიდებულების შესახებ, მეტრიკული ამონაწერი, სამი ფოტოსურათი.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს თბილისის ავტომშემკეთებელი ქარხანა აცნობებს ავტომეუონეობათა ხელმძღვანელებს, რომ თბილისის ავტომშემკეთებელი ქარხანა შეუდგა გაზ-51 და ზის-150 მარკის სატვირთო ავტომობილების კაპიტალურ შეკეთებაზე ხელშეკრულებათა დადებას 1953 წლისათვის.

იმ უწყებათა და დაწესებულებათა ავტოპანქანებს, რომლებიც ხელშეკრულებას მიმდინარე წლის 15 დეკემბრამდე არ დადებენ, ქარხანა შესაკეთებლად არ მიიღებს.

საქართველოს რადიოგადაცემათა 4 ოქტომბრის პროგრამა

რადიოსადგურებით 1.571 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით: 06.25 — მარშები; 07.40 — „პიონერთა დაფიონი“; 09.20 — ქართული ხალხური სიმღერები; 11.00 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი; 11.25 — საუბარი: „საქართველოს მშრომელები ღირსეულად ხვდებიან პარტიის XIX ყრილობას“; 12.15 — ჩაიკოვსკის რომანსები; 12.45 — რუსული ხალხური სიმღერები პიატნიცკის სახელობის გუნდის შესრულებით; 17.15 — რამდენიმე ნაწილი შოსტაკოვიჩის ორატორიიდან „სიმღერა ტყეებზე“; 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის; 18.15 — კონცერტი რადიომსმენელთა თხოვნით; 19.20 — ქართული საოპერო მუსიკის კონცერტი.

რადიოსადგურებით 1.500 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით: 20.30 — ქალაქის ქსელით — რუმინული და ბულგარული მუსიკის კონცერტი; რადიოსადგურებით — გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის; 20.45 — კონცერტი ხელოვნების ოსტატთა შესრულებით; 21.30 — საუბარი: „მშრომელთა კომუნისტურად აღზრდის მნიშვნელობა კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში“; 21.50 — ლიტერატურული გადაცემა — ნაწყვეტი ბაბაევსკის რომანიდან „ცხოვრების დროშა“; 22.10 — ფაიზის ოპერეტა „ქოშების“ მონტაჟი; 00.05 — პოპულარული სიმფონიური მუსიკის კონცერტი.

დღეს თეატრებში

რუსთაველის სახელობის — რვალი; **მარჯანიშვილის სახელობის** — ანტონიოს და კლეოპატრა; **გრიბოედოვის სახელობის** — ოცდაათი ვერცხლი (აბონემენტი 3, 4); **მუსიკალური კომედიის** — ტრემბიტა; **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — პატარა მეთრეტი (აბონემენტი 14, დასაწყისი 6 ს.); **მოზარდ მაყურებელთა რუსული**— მოალისფერო ყვავილი (დასაწყისი დილის 10 ს.); **სანკულტურის** — ჯარგი ამხანაგი.

მოქალაქე **ლევან ეხატატეს-ძე დათაშვილმა,** მცხოვრებმა ვოროშილოვის ქ. № 29, აღძრა საქმე ლოტკის ქ. № 13 მცხოვრებ მოქალაქე **ვერგინა მიხეილის ასულ ტუმასოვთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ლენინის რაიონის მესამე უბნის სახალხო სასამართლო.

შვილები ფედოსი, ევგენი, პარმენ, ვარდენ, ბიკენტი, ლექსო, რძლები გულნარა, თამარ, გუგული, ელენე, ზინა ისაკაძეები შვილებით, სიძე გ. გიჩერილაძე ოჯახით იუწყებიან **სარა თომას ასულ ისაკაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 4-X სოფელ მუხლში (ამბროლაურის რაიონი).

მეუღლე ნადია, შვილები გიორგი, მიხეილ, რძლები ევენია, მაია შვილებით იუწყებიან **ალექსანდრე გრიგოლის-ძე ზაალიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 4-X, 7 ს. გამოსვენება 5-X, 4 ს. ვეძინის ქ. № 12.

მეუღლე ალექსი, შვილები მარინე, ზაზა, დედამთილი ლენა, მამამთილი ჭიჭიკო, მული გოგოლა, მაზლი ელდარ შენგელაიები იუწყებიან **ეკმ მერი ვლადიმერის ასულ ჯინორია-შენგელაიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 3, 4-X, 8 ს. გამოსვენება 5-X, 5 ს. კოჯორის ქ. № 6.

შვილები ზინა, გიორგი, რძლები ანეტა, ლეონიდე, მინადორა, სიძე ვ. დოლიძე, შვილიშვილები მიხეილ, ცოლა, ქეთო, სანდრო, შაქრო, ცისანა ცენტერაძეები, თინა დოლიძე იუწყებიან **თებრონე მაჭახიმეს ასულ ცენტერაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 4-X ქ. სუხუმში, გამოსვენება ბინიდან, მალენკოვის ქ. № 56.

მშობლები მარიამ, ვლადიმერ, დები ეთერ, თამარ, ცისანა, ბებია მართა, მამიდა ლუბა ჯინორიები, სიძეები შ. ცუცურაშვილი, ლ. კვარაცხელია შვილებით იუწყებიან **ეკმ მერი ვლადიმერის ასულ ჯინორია-შენგელაიას** გარდაცვალებას.

დღეები უკრაინაში

(დასასრული)

ჩამოსვლოდეთ. წამოსვლა რომ დავაპირეთ, არაფრით არ ქნეს: უპატივცემლოდ როგორ გაგიშვებთო. შრომაში ერთი კვირა ვიყავით სტუმრად და იქაური წყალი რა გემოსია არ გაგვიგია, სულ ღვინოს გვასმევდნენო. სოფლის კოოპერატივში მანქანა აფრინეს—უკრაინული ღვინოები ჩამოატანინეს. ბრიგადის დიასახლისმ ხელდახელ ბორშჩი მოხარშა, ცხვრის გემრიელი ყაურმა გამოიტანა და ჩობნური ერმის ჩრდილში მასპინძლობა გაგვიწია. იგონებენ შრომელ მეგობრებს, სვაძენ ხალხთა მეგობრობის, საყვარელი ბელადის სადღეგრძელოებს. ეკატერინა პარხომენკო კრათუ ბრიგადის დიასახლისია, იგი მეცხვარეობის ბრიგადრის თანაშემწე და მარჯვენა ხელია. ხუთი წლის წინათ საშუალო სასწავლებელი დაამთავრა და ბინა შემდეგ კოლმეურნეობის ცხვარში მუშაობს.

— ჩვენი კატია ვაჟკაცივით იტანს ჩობნურ შრომას — შემოდგომაა თუ ზამთარი, დარია თუ ავდარი, ჩვენთან ერთად მიაბიჯებს დაბამბულ შარვალსა და ჯუბაში გამოწყობილი, ვერც გაარჩევთ ქალია თუ კაცი,—აქებს მეცხვარე ქალს ბრიგადირი. შექებისაგან დამორცხვებული ტანადი ქალიშვილი კი თავს ჰხრის, ურემს ეფარება.

უცებ მოშორებით, ველზე, მტვრის ღრუბელი ავარდა.

— ეს დარწყულებული ფარა მოდის, —შუბლი მოიჩრდილა კიზიმმა,—ცხვარი შორს დაგვიდის წყალზე, საქონელი ეღლება, ილახება. წყალი, წყალი აკლია ჩვენს ველებს.

— აი თქვენთან, შრომაში, რა მომწონს,—ისე მომიბრუნდა ბრიგადირი, თითქოს მე შრომელი კოლმეურნე ვიყო,—წვიმა რომ მოდის ასე ხშირად. მზიანი ამინდია, გამოხვალ გარეთ, და უცებ წვიმა წამოვა. უცქერ ფერდობებს, ქვაა, ფლატე, ფიქრობ: აქ რა უნდა აღმოცენდესო, მაგრამ ხედავ ვენახი იზრდება, ჩაი, მანდარინი, ეს სულ წვიმითაა. აქ კი თვეები უნდა ელოდო, სანამ ცა პირს გაიხსნის. ზოგჯერ მეძინდვრეობაც ზარალდება გვალვისაგან და მესაქონლეობასაც უჭირს.

ისევ 1938 წელი მაგონდება, პირველად რომ ჩამოვიდნენ გენიჩესკელი კოლმეურნეები სოფელ შრომაში. მაშინ მეცხვარეობა ფულადი შემოსავლის ერთ-ერთი მთავარი წყარო იყო სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში. მას შემდეგ მეცხვარეობა არათუ არ დაქვეითებულა, ყიან წავიდა. თერთმეტი ათასი სული ასკახიის ჯიშის ნაზმატყლიანი ცხვარია კოლმეურნეობის ფერმებში. ახლა კოლმეურნეობია თესლბრუნვაში შემოიჭრა ბამბის კულტურა, შემოიჭრა ფართოდ, დიდი მასშტაბებით, როგორც ყველაფერი ამ თვალუწვდენ, ბარაქიან ველებში. მებამბეობა კოლმეურნეობის ფულადი შემოსავლის მთავარი წყარო გახდა. ათასსამასი ჰექტარი ბამბა უთესია წელს სტალინის სახელობის კოლმეურნეობას და ურწყავობის პირობებშიც კი შეაინიშნავ მოსავალს იღებს—საშუალოდ 7-8 ცენტნერს ჰექტარზე, უხვმოსავლიან ნაკვეთებზე კი 11-13 ცენტნერს.

უკრაინის სოფლის მეურნეობაში უკანასკნელ წლებში ფართოდ დაინერგა ბამბის კულტურა, იგი ახლა უფრო მეტ „თეთრ ოქროს“ აწვდის სახელმწიფოს, ვიდრე უზბეკეთი.

უკან ვბრუნდებით, კოლმეურნეობის კანტორისაკენ. ჩვენს თვალწინ მიჰქრიან მზესუმზირის ყანები, იონჯის ნათესები, სასილოსე კოშკები და კვლავ მეცხვარეობის, მესაქონლეობის, მეღორეობის ფერმების შენობები.

უცებ ლიტოვჩენკომ, რომელიც თვითონ ეუბის საჭეს, ნაწვერალზე შეაჩერა მანქანა. აქ ტრაქტორებით ჩალას ზვინავენ. წყვილი ტრაქტორი ფართო ბინდვრის თავსა და ბოლოში ჩამდგარა, მათ შორის გაბმული ბაგირი მინდვრის ბოლოსაკენ ხვეტავს ოქროსფერ ჩალას.

იმდენი ჩალაა დაზავებული, რომ გეგონება მარტო ამ მინდორზე ნამკალი კი არ არის, სხვა ფართობებიდან მოუტანიათ და აქ დაუგროვებიათო. მოსავლის აღებასაც რომ არ შეესწრო, ამ ნაწვერალებითაც იგრძნობ, თუ რა ხვავი და ბარაქა ამოუბრუნებია აქ ადამიანის ხელს.

ივნისში დროზე რომ მოვიდა წვიმა, შმაგად აიყარა ხორბალმა ტახი, სიმძიმისაგან ჩაწვა. ამ ფართობებზე მარტო ერთი მიმართულებით მკიდა კომბაინი, —გვიხსნის ლიტოვჩენკო, — აქ ოცდარვა ცენტნერი ავიღეთ ჰექტარზე. საშუალოდ კი ოცდასაამი ცენტნერი მოვცა ჩვენმა ნათესმა.

ასი ათას ცენტნერს გადააჭარბა წელს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მოსავალმა.

ანეულზე გადავედით. ვერ წარმომედგინა, რომ პირწმინდად, უხარვეზოდ მოხნულ და სუფთად დაფარცხულ მიწას ასეთი სილამაზე ექნებოდა. ყორნის ფრთასავით ღუზღუზებს ის მზეზე. ზოგან ნახევარ მეტრზე უფრო ღრმად მიდის აქ ნაყოფიერი შავი მიწის შრე. ხაჭოსავით წვრილად დაუშლია ის საკვეთს და ფარცხს. თვალითაც გრძნობ მის პოხიერებას.

საითაც უნდა გაიხედო, რასაც კი მოავლებ თვალს, ყველაფერი იმედსა და სიძხნევეს უთესავს კაცს გულში. ნაზ იასამნისფრად ჰყვავის კედელივით ამართული უგრეხელი. გაფხვიერებულ, შავ ნიადაგზე ფართო ფოთლები გაუბარდნია ჭარხალს. თითქოს გრძნობ, როგორ ივსება ტკბილი წვენით მისი ძირხვენები. ცის თაღზე გამოკიდებული დისკოსათვის საცრისტოლა თვალები მიუპყრიათ მზესუმზირებს, თითქოს ეუბნებიან: შემოგვხედე, შენი ფერი თუ დაგვედოო.

სტალინის სახელობის კოლმეურნეობა ახლა საშემ